პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

1934 წ. ოქტომბრის 24

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო

ფასი 30 კაპ. № 21

იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, პაოლო იაშვილის, ალიო მაშაშვილის, ნიკოლოზ მიწიშვილის, ბესო ჟღენტის, პლატონ ქიქოძის, სიმონ ჩიქოვანის და პანტელეიმონ ჩხიკვაძის რედაქტორობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუბლიკური ბიბლიოთეკა

ოქტომბრის 24

ვემზადოთ აკაკის იუბილესთვის

ახლო მომავალში გაიშლება სამზადისი აკაკი წერეთლის იუბილესთვის. ეს დატა გადაიქცევა სახალხო ზეიმად.

აკაკი სახალხო პოეტი იყო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მისი მაღალი ხმა, მისი მკვეთრი სიტყვა, განგმირავი დაცინვა, პოპულარული და ამასთანავ დიდი მხატვრული ღირსების ლექსი—დაუვიწყარია ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელისათვის, რომელსაც ორიოდე სტრიქონი მაინც წაუკითხავს ქართულად.

აკაკი იმ კლასიკოსთა წყებას ეკუთვნის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ხოლმე თავისი მხატვრული იარაღით მიმდინარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამასთანავე დიდი, ეპოქალური ლიტერატურის საქმეს აკეთებენ.

აკაკის იუბილე უნდა გაიშალოს ყოველი მხრივ: მასიური მუშაობის ხაზით, რაიონებში, გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთებში და ა. შ. აკაკი ღირსია ყოველივე იმისა, რის ღირსიც არის სხვა რომელიმე პროგრესიული კლასიკოსი. მისი შემოქმედების სწორი შეფასება და ღირსეული ისტორიული ადგილის განმტკიცება—დიდი კვლევითი მუშაობის საქმეა.



ჩვენი გაზეთი ამ იუბილეს სთვლის დიდ აქტუალურ მოვლენად—ენერგიულად ემზადება მისთვის და მოუწოდებს მთელ მკითხველ საზოგადოებას და მწერლებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ ამ ზეიმში.

ლიტერატურა და მეცნიერება

წარმოუდგენელია ბერძნული ეპოსის დროის ლეგენდები ჩვენს ეპოქაში, როცა კაცობრიობამ თოფის წამალი მოიგონა და სტამბა შექმნაო—ამბობდა მარქსი. სამწუხაროდ, კულტურულ ფრონტზე აქა-იქ ახლაც გვხდებიან ადამიანები, რომლებიც ჩვენ დროშიაც პრიმიტიულ და არამეცნიერულ საფუძვლებზე აპირებენ მუშაობას. ამ ხალხს ისევ ჰგონია, რომ მწერალს შეუძლია მხოლოდ შთაგონება-„ინტუიციით“ ცხოვრება, რომ კულტურა და „კუსტარობა“ განუყოფელი მოვლენებია და რომ ლიტერატურული შემოქმედების ინდივიდუალური ფორმები აუცილებლად ინდივიდუალიზმსაც გულისხმობენ.

შეიძლება ასეთ შეხედულებათა ნარჩენებით აიხსნება ის გარემოება, რომ დღემდე მწერლობას და მეცნიერებას, მწერლებსა და მეცნიერების მუშაკთა შორის არ არის საკმაო მტკიცე და საქმიანი, პრაქტიკული კონტაქტი. კიდევ მეტი: ვერ არის მჭიდრო ურთიერთობა თვით ლიტერატურული მეცნიერების მუშაკთა და ლიტერატორ-შემოქმედთა შორისაც.

დღემდე ორივე მხრივ ადგილი აქვს ერთგვარ „ცეხურ“ განწყობილებებს: ზოგიერთ მეცნიერულ მუშაკს არ სურს ვიწრო „პრაქტიციზმამდე“ დასვლა და ლიტერატორებს კი აშინებს მეცნიერული „აბსტრაქციები“. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ორივე მხარე ჯერ შეუჩეველია ცოცხალ საგაზეთო საქმესაც.

ჩვენი ექვსდღიური გაზეთი, უმთავრესად ლიტერატურული საკითხებისადმი მიძღვნილი, ძალების დიდ მობილიზაციას მოითხოვს. ამ გაზეთისა და ფართო მკითხველ წრეების ინტერესი მოითხოვს, რომ თვით ლიტერატურისა და აგრეთვე სხვა ხელოვნებათა საკითხები ერთდაიმავე დროს დამაინტერესებლად, ღრმად, მეცნიერულად და გაზეთისათვის მისაღებ ჟანრებში და ზომებში იქნეს მოცემული.

წავიდა ის დრო, როდესაც პედანტები ჩინურ კედელს აღმართავდენ ხოლმე მეცნიერებასა და მხატვრობას შორის და გაიძახოდენ: აქ იწყება ხელოვნება, აქ მეცნიერება, აქ კი ცხოვრებაო.

დროა შევიგნოთ, რომ სქოლასტიკურია მეცნიერი, კერძოდ ე. წ. „ჰუმანიტარული“ დარგისა, თუ ის მხატვრის იარაღით არ სარგებლობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი შრომების მასიურ პოპულარიზაციაზე დგას საკითხი, სამაგიეროდ ზერელე და ქარაფშუტაა ხელოვნება, თუ კი იგი თანამედროკე მეცნიერების საფუძველზე არ დგას.

აღორძინების დროისა და კერძოდ იტალიის უდიდესი ხელოვანები მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლებიც იყვნენ ერთ და იმავე დროს. ახლა არ არის დრო ასეთი უნივერსალიზმისა, მაგრამ არც იმისთანა კაპიტალისტური საზოგადოების სენია სასიამოვნო, როდესაც, ერთი დამახასიათებელი ანეგდოტის თანახმად, მეცნიერმა შემთხვევით (სანოვაგეს მოყოლილ გაზეთის ნახევიდან) გაიგო რომ რამდენიმე წლის წინეთ მის ქვეყანაში ომი ყოფილა.

სპეციალიზაცია და შრომის განაწილება არ ნიშნავს ადამიანის დასაჭურისებას და შორს არ არის მარქსის მიერ ნაწინასწარმეტყველები დრო, როდესაც ხელოვნება იმდენად გააფართოვებს თავის საზღვრებს, რომ იგი პროფესიონალთა „ცეხის“ საქმე აღარ იქნება.

„ლიტ. გაზეთის“ წინა ნომერში ახალი ლიტერატურული კადრების შესახებ მოთავსებულ მასალებმა და თვით ახალი ავტორების პროდუქციამ ჩვენ მკითხველებში სერიოზული გამოძახილი ჰპოვა. განსაკუთრებული ინტერესი აღძრა ახალ ავტორთა შორის ქალების სიმრავლემ.

ოდესღაც გენიალური რევოლუციონერი ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობით განიზომება თვით ამ საზოგადოების კულტურული დონე. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ამჟამად ქალის, მით უფრო ახალი ქალის როლი თვალსაჩინო ვერ არის. ახალი ლიტერატურული კადრების ზრდის საქმეში დღემდე ბევრი ნაკლი გვაქვს. მაგ.: რედაქციები და გამომცემლობანი ვერ იჩენენ საკმაო გემოვნებასა და გამბედაობას ახალი ძალების შერჩევაში; იქ სადაც ახალგაზრდები იბეჭდებიან თვითდინებას და შემთხვევითობას ვხვდებით; სწავლება და ე. წ. კონსულტაცია გაუპიროვნებული იყო და, რაც მთავარია, დღემდე ბევრს ჩვენთაგანს სწავლება წარმოდგენილი აქვს, როგორც მწიგნობრულ-კაბინეტური მუშაობა ახალგაზრდა კადრებთან.

ამ მხრივ ჩვენი პარტიის ცეკას კულტპროპის გადაწყვეტილება ახალგაზრდა მწერლები და კრიტიკოსები პრაქტიკულ მუშაობასთან შეთავსებით გაიგზავნონ ასპირანტურაში სამაცადინოდ,—გვიჩვენებს ახალი კადრების თეორეტიულ-პრაქტიკული აღზრდის სწორ გზას.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ ახალი ლიტერატურული ძალების აღზრდა შეუძლებელია, თუ თეორეტიული სწავლება მთლიანად და სავსებით არ ეყრდნობა სოციალისტურ მშენებლობისა და რევოლუციურ ბრძოლის პრაქტიკაში მათ უშუალო მონაწილეობას.

მეცნიერული მუშაკები ჩვენს რედაქციაში

ჩვენი რედაქციის მოწოდებას მეცნიერულ მუშაკთა გაზეთში თანამშრომლობის შესახებ მეცნიერული ძალები უკვე გამოეხმაურნენ. რედაქციის მიერ მოწვეულ თათბირს დაესწრნენ: ვ. კოტეტიშვილი, ქ. რაჭველიშვილი, სეით დევდარიანი, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე, არნოლდ ჩიქობავა, ჩიტო შარაშიძე, თ. ნიკოლაძე, ვ. ასათიანი და სხვები.

უთუოდ ჩვენ მწერლებსაც დიდი ხანია აინტერესებდათ მეცნიერულ მუშაკებთან კავშირის განმტკიცება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თათბირს დაესწრო მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

„ლიტ. გაზეთის“ რედაქტორმა მოკლედ გააცნო თათბირის მონაწილეებს გაზეთის მუშაობის პირობები, მუშაობის მასშტაბი, მატერიალური ბაზა, აღნიშნა სიძნელეები, რომელთა შორის უპირველესი ადგილი მიაკუთვნა ავტორთა პერიოდულ პრესაში სისტემატურ მუშაობის შეუჩვევლობას. ჩვენი გაზეთის ტემპი, გაზეთის ჟანრი, გაზეთის ზომა ჯერ უჩვეულოა ავტორთათვის. შესაძლებელია ამით აიხსნება მეცნიერულ მუშაკთა თავდაჭერილობაც. მეცნიერული შემოქმედებითი აზრი ვერ არის ჯერ კიდევ საკმაოდ დაძრული. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უნდა გაიშალოს ფართო დისკუსია ლიტერატურისა და ლიტერატურის „მოსაზღვრე“ კულტურულ საკითხებზე. ამ საქმეში მეცნიერულ მუშაკებს უთუოდ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. გაზეთი უნდა იყოს მრავალფეროვანი. მას უნდა ჰყავდეს მკითხველთა ფართო ფენები.

აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ბევრი საგულისხმო რამ გამოარკვია.

ერთხმად აღიარებული იქნა, რომ გაზეთს სწორი გეზი აქვს აღებული და იგი დღითიდღე უფრო საინტერესო ხდება. რეორგანიზებულ გაზეთის ტენდენცია — გააშუქოს არა მარტო ლიტერატურული, არამედ საერთოდ ლიტერატურის მონათესავე ხელოვნებებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხები—ფრიად მოსაწონია.

ჩვენი მეცნიერული ძალების ლიტერატურულ გაზეთის საშუალებით ფართო მასებთან დაახლოება, დიდი მიღწევა იქნებოდა ჩვენთვის.

მოსაწონია აგრეთვე გაზეთის გაბედული ნაბიჯი ახალგაზრდა ძალების გამოვლინების საქმეში. ეს ასიცოცხლებს ადამიანს, იმედს იძლევა ჩვენი ზრდისა და განვითარებისათვის (არჩ. ჯაჯანაშვილი).

გაზეთისათვის საჭიროა მის ირგვლივ შემოკრებილ მეცნიერულ ძალების დარგების მიხედვით დარაზმვა. თვითეულ დარგის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს ჯგუფები, რომელთა წევრები დაამუშავებენ გაზეთისათვის საჭირო ცალკეულ საკითხებს და უზრუნველჰყოფენ გაზეთს სათანადო მაღალხარისხოვან მასალებით (ვ. კოტეტიშვილი).

წინადადება ჯგუფების ჩამოყალიბების შესახებ გაზიარებულ იქნა შემდეგ ორატორების მიერაც.

„ლიტგაზეთის“ ერთერთ ძირითად ამოცანად პოეტიკის საკითხების შესწავლა უნდა გახდეს—ამბობს სიმონ ჩიქოვანი. პოეტიკის საკითხების გარჩევა ნიშნავს ნაწარმოების მხატვრულ ღირსების გამოკვლევას. ეს საკითხები უნდა ირჩეოდეს არა სქოლასტიკურად, არამედ მარტივად, გასაგებად. აქ მეცნიერულ მუშაკებს უთუოდ დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ.

გაზეთი ახლა ისეთ ხასიათს ატარებს, რომ მეცნიერულ მუშაკს შეუძლია მასში ითანამშრომლოს—ამბობს კ. ასათიანი. პრაქტიკულად ამ საქმის მოგვარება ასათიანის აზრით შესაძლებელია წინასწარ თემატიკურ გეგმების შედგენისა და ლიტინსტიტუტის კათედრებთან მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალებით.

თათბირზე შემოტანილ იქნა მრავალი პრაქტიკული წინადადება, თუ რა საკითხებს უნდა აშუქებდეს გაზეთი, როგორ უნდა აშუქებდეს და სხვა (არნოლდ ჩიქობავა, ი. გრიშაშვილი და სხვა).

ვ. თოფურიამ შოთა რუსთაველის ინსტიტუტის სახელით აღუთქვა რედაქციას სათანადო მასალების სისტემატური მოწოდება.



შალვა ძნელაძე — გურული ქალი

სხვადასხვა გზა

(ილია ერენბურგი. წერილიდან „ჩვენი სტილისათვის“ „იზვესტია“ 15/x-34 წ.)

ყრილობის პრეზიდიუმში ვიჯექი, როცა ერთერთ ფრანგი მწერლის პატარა ბარათი მომაწოდეს: „ეს არის ახლა გავიგე, რომ ჟორჟ დიუამელს თავი აკადემიის წევრობის კანდიდატად წამოუყენებია“. მე და ამ ბარათის ავტორმა ერთმანეთს ნაღვლიანი ღიმილით შევხედეთ. ასე დაასრულა თავისი გზა კიდევ ერთმა ნიჭიერმა მწერალმა. ოდესღაც იგი ებრძოდა ცბიერ მორალს და დამყაყებულ ლიტერატურულ წესებს. ახლა იგი სიბერისაგან გამოყრუებულ გენერლებთან და დასაჭურისებულ სულიერ მოძღვრებთან ერთად დაესწრება აკადემიის სხდომებს. თავის უკანასკნელ წიგნში ჟორჟ დიუამელი, არ ვიცი, ხუმრობით თუ სერიოზულად წინადადებას იძლევა დაწესდეს „გამომგონებლობის უკუმდების ხუთწლედი“. მას აღშფოთებს ახალი საგაზეთო ენაც და ავტომობილებიც. ყველაზე უფრო მას აღშფოთებს ის, რომ ადამიანებს კიდევ აქვთ სურვილი გამოიგონონ რამე. ბოროტება—გამომგონებლობაშია! სპეციალური მკერვალი, ალბად,—უკვე იღებს ზომას დადინჯებული „ბუნტარის“ ტანზე. მას შეუკრავენ საპარადო მუნდირს, რომლის გარეგნული ფორმა არ შეცვლილა ასი წლის მანძილზე.

რა შემსუბუქება ვიგრძნე, როცა ამ ბარათის წაკითხვის შემდეგ მე შევხედე მორიგ ორატორს. ეს იყო ქართველი პოეტი. საქართველო არ არის საბავშო ბაგა, ქართველი მწერლების ზურგს უკან დგანან ასეული წლები, საუკუნები, მათ უკან უძველესი კულტურა, ეპიური სიმღერები, ღრმა აზროვანი გუმბათებია! ქართველ პოეტს დიუამელივით შეუძლია სრული უფლებით იამაყოს თავის ქვეყნის დიადი წარსულით. მაგრამ ეს პოეტი ლაპარაკობდა მომავალზე. ის ლაპარაკობდა შემოქმედებაზე, გაბედულებაზე, ახალ ლიტერატურულ ფორმებზე. ის „ობოზში“ არ მიჩანჩალებდა, მას უპირატესად მიაჩნდა მაძიებელის მძიმე გზა. განა მთელი ჩვენი ქვეყანა ერთი გიგანტური კვლევა-ძიებად არაა? განა მთელი ჩვენი ცხოვრება გამომგონებლობათა ერთი განუწყვეტელი ნაკადი არაა? მე ვიცნობ ჩვენს გამომგონებლებს. მრავალ საბჭოთა გამოგონებაზე ახლა მსჯელობენ ევროპის და ამერიკის მეცნიერები. მაგრამ არა ამ გამოგონებებზე ვლაპარაკობ ახლა. ყველაზე ჩვენი დიდი გამოგონება—ეს ჩვენი ცხოვრებაა, იმის შეგნებაა, რომ ძველებურად ცხოვრება,—გამომგონებლობის და გაბედულების გარეშე, არის მოსაწყენი, მოსაბეზრებელი, ადამიანის არასაკადრისი ცხოვრება.

„ლიტგაზეთის“ გაფართოებული საწარმოო თათბირი

ზეგ, 26 ოქტომბერს დღის სრულ 1-ლ საათზე მოწვეულია „ლიტგაზეთის“ მორიგი საწარმოო თათბირი. თათბირზე მოწვეულია მწერალთა კავშირის წევრები, „ლიტგაზეთის“ თანამშრომლები, ტფილისის უნივერსიტეტის და სხვადასხვა მეცნიერულ დაწესებულებების ლიტერატურული თანამშრომლები, „ლიტ. გაზეთში“ დაბეჭდილი ახალი ავტორები და სხვა.

„ლიტ. გაზეთის“ რედაქციის წევრების დასწრება სავალდებულოა. თათბირის შემდეგ შესდგება რედკოლეგიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება ორგანიზაციული საკითხებიც.

რედაქციის სხდომის შემდეგ კი შესდგება თათბირი „ლიტ. გაზეთში“ დაბეჭდილ ახალ ავტორებთან.

თარგმანის გამარჯვება

უკვე ერთი წელიწადი სრულდება, რაც საბჭოთა მწერლების კავშირის ორგკომიტეტის ბრიგადის წევრებმა—პოეტებმა ნ. ტიხონოვმა და ბ. პასტერნაკმა ხელი მოჰკიდეს ქართველ პოეტების თარგმნას.

უკანასკნელ დრომდე ქართველ პოეტებს შემთხვევით თუ ვინმე „წაატანდა“ ხელს, თორემ სერიოზულად არავინ ჩასჯდომია და არ უთარგმნია არც ძველი და არც თანამედროვე პოეტები.

ოქტომბრის 9-ს ნ. ტიხონოვმა წაიკითხა თავისი თარგმნები ქართულიდან: (სიმ. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ა. ქუთათელის, კ. ლორთქიფანიძის, ს. შანშიაშვილის და რ. გვეტაძის) ნაწარმოები.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი მუშაობის, რომელიც დაწყებული აქვთ ნ. ტიხონოვს და ბორის პასტერნაკს. სიძნელეები, რომლებიც მთარგმნელების წინაა, ტიხონოვმა და პასტერნაკმა უდაოდ გადალახეს. ენის უცოდინარობამ მიუხედავად, სიტყვა-სიტყვითი თარგმნების მიხედვით მათ იშვიათი ოსტატობითა და ორიგინალთან სიახლოვით გადათარგმნეს თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ნიკ. ტიხონოვს განსაკუთრებით კარგად აქვს შესრულებული იმ ლექსების თარგმანი, რომლებიც უანრით ახლო არიან მის შემოქმედებასთან. ს. შანშიაშვილის—„კახეთის დედოფალი“, ა. ქუთათელის—„ჩალავადრები“, რ. გვეტაძის „მერკვილაძის დები“ და ს. ჩიქოვანის—„შემოლამება ხახმატხე“. პოეტს შეუწყო ხელი აგრეთვე საქართველოს ბუნებისა და ხალხის იშვიათმა ცოდნამ.

ყოველივე ამაზე ილაპარაკეს კითხვის შემდეგ კამათში გამოსულმა—ბ. ჟღენტმა, ტ. ტაბიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, მ. პატარიძემ, ვ. წულუკიძემ, კორნეევმა და სხვებმა.

დასასრულ საბოლოო სიტყვით გამოვიდა თვით ნ. ტიხონოვი, რომელმაც აღნიშნა—საქ. ლიტ. საზოგადოებრივობის იშვიათი ყურადღება მის მუშაობისადმი.

პერეკოპი

ნიკოლოზ ტიხონოვი

თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა

ლაჟვარდი ვარსკვლავებს ალმასის ფეიერვერკად ფრქვევს,
სდუმს ქარი ალვის ტყეს ბურიანს...
ჩანთაც გვაქვს, შაშხანაც და აორწყალიც—
სამკაცზე—გირვანქა პურია...

როგორც არშია მსუბუქი მტრედის ფრად
ვაზნარებს მოევლო ნისლი,
თუმც სამი წელია ძილი არ გვეღირსა,
ყინვამ და შიმშილმა სიკვდილით შეგვრისხა,
მტკიცეა სალდათის ფიცი.

დაგვიგეს ხაფანგი,
საიდან სანამდი,
ქვემეხთა კკამლები გვარწევს.
კისერთან საზარლად გაშხუის ქამანდი,
კონდახიც გადატყდა შუაზე.

ბრძოლაა მთისათვის, ზღვისათვის, ცისათვის,
ყოველი ნაბიჯი—ჩვენი თუ მათი,
ხროვა ნაგაზების მთებიდან ისწრაფვის
და ცოცხალ ხიდებით სივაშზე გადის.

უკანასკნელად, ვიდრე წაქცევამდე,
წინ გადააბიჯებს მკვდარი...
ტყვია რას მიქვიან—მთებიდან მთებამდე
გავსწიოთ შეტევის ქარით.

უკან ბავშვებია უთვალო, უხელო,
შვილები დიდ უბედობის,
გზათა ნაფლეთებზე ქალაქნი მწუხრობენ,
არც შეშა, არც პური მოდის...

მთიდან კი სამოთხის ჭიკჭიკი მოგვესმის,
ახლოა—მზეს დავეუფლოთ,
და როცა ათასნი შევსძახებთ „მოგვეცით“,
იქუხებს გრიგალზე უფრო.

თენდება,—ვით თევზის თვალი გაბრიალდა,
მთვარე ღრუბლების უკან.
დამსხვრეულ, სისხლიან ხიშტებზე იალა
დილამ, და მზეც დაგვეშუქა.

ზღვაზე ათამაშდენ დელფინთა ლანდები.
თოლიამ დაფარა სივრცე,
და ნაცრისფერი გრძელი ხომალდები
შებრუნდენ შორ ბოსფორისკენ.

ხეებს ქვეშ, ქვებზე თუ ბალახზე დავწექით,
რომ ჩაგვძინებოდა ეგები,
გვენახა სიმშვიდე ბრძოლით მოქანცულებს,
პირველად სამი წლის შემდეგ.

და ვნახეთ სიზმარი—თუნდაც ეს წელიწადს
იცოცხლო, ვერ ნახო ვერსად,
უბრალო სიტყვებით ეს ამბავი ვერ ითქვას,
ვერც შესძლო დასწერო ლექსად.

როზენბერგის ესთეტიკური იდეალი

პროფ. მოსე გოგიბერიძე

1

ანეგდოტად ითვლებოდა, რომ რესტავრაციის ეპოქის ვიღაც ფრანგი იდეოლოგი აზნაურთა ფილოსოფიის შექმნაზე ოცნებობდა. კანტი და ჰეგელიც, შილერიც დაგოეთეც, ბეთჰოვენიც დაგაუსიც აღშფოთებით უარს იტყოდენ, მათთვის რომ ვისმე ასეთი ზრახვები მიეწერა. თავიანთი ღრმა რწმენით დიდი კლასიკოსები ჭეშმარიტების მარადისობას და მშვენიერების მიუწვდომელ აღმაფრენას ემსახურებოდენ, ადამიანის მოდგმისათვის შესაძლებელი შემეცნების საზღვრებს აკანონებდენ და მისი განცდისა და ჭვრეტის უნარისათვის სავალდებულო ნორმებს ამკვიდრებდენ.

ის, რაც ანეგდოტი იყო კაპიტალიზმის პროგრესიული განვითარების პერიოდში, რაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბურჟუაზიის იდეოლოგიურ მესიტყვეებს, დიდ კლასიკოსებს, ვერ წარმოედგინათ, დღევანდელ ფაშისტურ გერმანიაში ფაქტი გამხდარა. კანტი და შილერი, გიოთე და ჰეგელი არ გრძნობდენ „აზნაურის ფილოსოფიის“ არავითარ საჭიროებას, მაგრამ ეტყობა კანტისა და გიოთეს გერმანია სადღაც გამქრალა და დაგვიანებული კაპიტალიზმის დაჩაჩანაკებულ იდეოლოგიას, ფაშიზმს, თავისი სოფლმხედველობა წვრილფეხა, მაგრამ ყოყოჩა აზნაურის სულიერ ემოციებზე აუშენებია.

როზენბერგს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც „ნაციონალ-სოციალისტური“ პარტიის საგარეო პოლიტიკის „სპეცს“, კომუნიზმის დაუძინებელ მტერს და „სლავიანური მიწაწყალის“ ფაშისტური გერმანიისათვის დაპყრობის მქადაგებელ მოციქულს. ყველა ეს პრედიკატი მას უთუოდ ლოგიკური თანმიმდევნობით მიეკუთვნება. მაგრამ ამ სუბიექტს სუბსუმირებული აქვს კიდევ ერთი შესანიშნავი პრედიკატი, იგი ავტორია საინტერესო წიგნისა, ფაშისტური სოფლმხედველობის „ფილოსოფიური“ საფუძვლების კომპენდიუმისა.

რუსეთის მეფის ყოფილ ბარონის სულს ბოლშევიზმის და მარქსიზმის აჩრდილი ჰყავს აკვიატებული და რადგან როზენბერგს გაუგონია, რომ მარქსიზმი იდეოლოგიისა და ფილოსოფიის კლასობრიობას აღიარებს, რადგან როზენბერგმა ისიც იცის (საიდუმლოდ, რასაკვირველია!), რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ამ კლასობრივი სოფლმხედველობის თანამოაზრეა, ამიტომ აყალიბებს იგი მარქსიზმის კარიკატურულ „ორეულს“, აზნაურთა ფილოსოფიას. თუ მარქსიზმ-ლენინიზმი პროლეტარიატის კლასობრივი სოფლმხედველობაა, რათ ჩამორჩეს „ნაციონალ-სოციალიზმი“, რათ არ შეიძლება მასსაც ჰქონდეს „სააზნაურო ფილოსოფია“, თუ ბოლშევიკები კი ამტკიცებენ, რომ თვითოეული სოციალისტი დღეს კომუნისტი უნდა იყოს, აბა, როზენბერგს რატომ არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ყველა ნამდვილი სოციალისტი დღეს ჰიტლერის ერთგული აგენტი უნდა გახდეს. ოღონდაც, როზენბერგს ყველაფერი შეუძლია!..

„ვისაც სურს დღეს იყოს სოციალისტი, იგი ნაციონალისტი უნდა იყოს, და ვისაც ნაციონალისტობა სურს, იგი უნდა იყოს სოციალისტი“. ასე გვარწმუნებს ალფერდი *).

სოციალისტი პლიუს ნაციონალისტი — გამოვა ნაციონალ-სოციალისტი. რასაკვირველია, გამოვა, როზენბერგი განათლებულია, მას ლოგიკა აქვს ნასწავლი, მან ხომ ლოგიკური ოპერაციით აჩვენა, რომ ნაციონალისტი და სოციალისტი ისეთი ცნებებია, რომლებიც უკუქცევითი ოპერაციებს ექვემდებარება. მაშასადამე, ნაციონალ-სოციალიზმი ქვეყანას ააშენებს, სოციალიზმს დაამყარებს. ეს სოციალიზმი გახლავთ სწორედ აზნაურთა სოციალიზმი; მესამე იმპერიის სოციალიზმის აღმშენებლების უძირითადესი საქმე სწორედ რომ ახალი აზნაურის ჯიშის მოშენებაა. აბა, მოგუსმინოთ აზნაურთა ფილოსოფოსს:

„ის ვაჟკაცები, — რომლებიც ბრძოლებში მომავალი იმპერიისათვის პირველს რიგებში იდგენ და იბრძოდენ, სულიერად, პოლიტიკურად და მილიტარულად,—შეადგენენ მტკიცე საფუძველს მომავალი აზნაურობის წარმოშობისათვის. ეს ადამიანები 80%-ით მაინც გარეგნულადაც ჩრდილოეთის რასიული ტიპის წარმომადგენელი იქნებიან... ეს ახალი აზნაური, მაშასადამე, იქნება სისხლისა და მოქმედების აზნაური“ (იქვე გვ. 559).



როზენბერგის ლოგიკა ცოტა გართულდა. ახლა იგი სამი ერთნაირი ღირებულების მქონე ელემენტს შეიცავს. სოციალისტს-ნაციონალისტს-აზნაურს. ანდა შებრუნებით: აზნაურს - სოციალისტს-ნაციონალისტს. ქაღალდი გამძლეა და სიტყვები პროტესტს არ აცხადებენ. მაგრამ დროა როზენბერგს მოვაგონოთ, რომ ლოგიკაში არსებობს კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც ერთადერთი იარაღია ნაციონალსოციალისტური ცნებების არსენალის ანალიზის დროს, ეს არის contradictio in adjecto. სხვა ვერავითარი პრინციპით ვერ გავიგებთ, თუ როგორ შეიძლება ნაციონალისტის, სოციალისტის და აზნაურის ერთად მოთავსება!

უცნაურია კაპიტალიზმის მოხუცობისა და ლპობის პროცესი. ოდესღაც მოაზროვნეთა და გიოთეს გერმანია, ქვეყანა, რომელიც საუკუნის მანძილზე მეცნიერული აზრისა და ფილოსოფიურ ცნების კანონმდებლად ითვლებოდა, დღეს ვითომცდა თავისი თავისათვის უცხო და გაუგებარი გამხდარა.

როზენბერგი გვარწმუნებს, რომ ყოველივე უნდა მოისპოს და დარჩეს მარტო მოლტკე (პრუსიის გენერალური შტაბის უფროსი და 1866 წ. და 1870 წ. სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი). ნაციონალსოციალისტების ოცნებაში არსებული სოციალიზმი თურმე მოლტკეს ტიპის ვაჟკაცთა ლიგა იქნება. ყოველშემთხვევაში, ასე გვარწმუნებს როზენბერგი.

2

მართალი უნდა ითქვას, რომ წერა ფაშიზმის კულტურულ იდეოლოგიურ რაობაზე მოსაწყენია და კამათი მათთან კიუაზრო და შეუძლებელი. სასაცილოა ვილაპარაკოთ ფაშისტების რაიმე განსაკუთრებულ ფილოსოფიაზე. არავითარი ასეთი ფილოსოფია და ერთი მთლიანი სოფლმხედველობა მათ არ გააჩნიათ. რასების თეორია, თუ სივრცის განჭვრეტა, ზეკაცი და მდაბიო, ნებისყოფა და პერსონა, თვალი და ბედისწერა, სიმტკიცე და გამძლეობა—და კიდევ ბევრი ასეთი ფრაზა, რომლებითაც სავსეა მათი ნაწერები,—უშნოდ ჩამოფარებული ნიღაბია სამხედრო რევანშებისა და პოლიტიკური ავანტიურების საპროპაგანდოდ. თავის დროზე მარქისზმი რომ ბურჟუაზიულ ფილოსოფიას ებრძოდა და ეკამათებოდა, ეს ბრძოლა ხშირად სასიამოვნოც იყო. იდეა იდეას ხვდებოდა, იდეა იდეაზე იმარჯვებდა. იდეა და აზრი ფაშიზმა სხვებს აუკრძალა და თავისი ძალიან მცირე მოეპოება. ამიტომ ფაშიზმთან ბრძოლა ყოველივე კულტურული ადამიანისათვის მოვალეობა რომ არ იყოს, იგი სასიამოვნო არ არის. აბა მოდი და სერიოზულად ებრძოლე ხალხს, რომლებიც სერიოზულად

*) წერილი ავტორის მიერ დამზადებულია „ლიტერატურნოე ზაკავკაზიესთვის“. დღეს იბეჭდება ამ წერილის შესავალი, შემდეგ №-ში მოთავსდება დაბოლოება.

*) იხ. Alferd Rosenberg: „Der Mythus des 20. lahrhunderts, გვერდი 507.

ვალერი ბრიუსოვი (1924-1934)

ნ. ბუხარინის მოხსენებიდან



ყველაზე ახლო პროლეტარულ რევოლუციასთან მოვიდა ვალერი ბრიუსოვი, სიმბოლისტების „ყოფილი მეფე“, სამრეწველო რადიკალური ბურჟუაზიის ზედაფენების იდეოლოგი,—პირდაპირ ვიტყვი. —ის იყო რიაბუშინსკის კაცი განსაზღვრულ პერიოდში,—კულტურული ბურჟუაზიული არისტოკრატიის მეცენატთა სალონებში დიდების ყველა დაფნითა და ქრიზანტემით დაგვირგვანებული, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ნამდვილი ადამიანი ამ ლიტერატურულ წრეში, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ გესლიანი და ბოროტი დახასიათებებით, რომლებიც მოგვცა თავის უკანასკნელ შრომებში ანდრეი ბელლიმ. როგორ მოხდა ასეთი ისტორიული პარადოქსი, რომ ჩვენთან მოვიდა სწორედ ეს ბურჟუაზიული ლიტერატურის კომანდარმი, ლიტერატურულ ბურჟუაზიულ წრეების ნამდვილი დიქტატორი, რომელიც მოკვდა ჩვენი პარტიის წევრად და რომელსაც უყეფდენ ძველი ქვეყნის ყველა ძალები. რატომ სწორედ იგი—ვალერი ბრიუსოვი—გამანადგურებელი საზოგადოებრივი კრიზისის დროს მოწყდა თავის კლასს და გადავიდა ძლევამოსილ „ბრბოს“ ბანაკში? ეს აიხსნება პოეტის ღრმა ინტელექტუალიზმით, ეპოქის მახვილი გრძნობით, კონტინენტების, საუკუნეების, მილიონების კატეგორიებში აზროვნებით, ის თავად იყო უდიდესი კულტურული მოვლენა: მას აინტერესებდა კრიტოსის კულტურაც, საშუალო საუკუნეებიც, ატლანტიდაც და რომის მოგვიანო პოეტებიც,—მან სთარგმნა. მაგალითად, აბსონიუსი. იგი ხარბად უგდებდა ყურს ისტორიის რკინის ნაბიჯებს. მას აღტაცებას გვრიდა დიდი ამბების ჰეროიკა და მთის მწვერვალებიდან მონაქროლი პათოსი აღვივებდა მის შესანიშნავ ხარბი გონების ცივ ცისფერ ალს. აი რატომ არ შეეძლო მას არ შეემჩნია ბურჟუაზიული მსოფლიოს ორად გაყოფა. უმღერდა რა მას და სწამდა რა მისი მარადიულობა მისი გარდაუვალი ძლიერება, ამავე დროს იგი წერდა მომავალ კომუნისტურ „ჰუნებზე“, რომელთა რკინის ნაბიჯების ხმაური უკვე გაიგონა მისმა მახვილმა ყურმა „ჯერ კიდევ აღმოუჩენელ პამირებზე“. ეს მომავალი ჰუნები“, რომელსაც ეპიგრაფად უძღოდა: „Гопчи их рай Атилла“, თავდებოდა პათეტიური სტრიქონებით: შემთხვევითი არაა ისიც, რომ სწორედ ბრიუსოვმა ივუნა ლიტერატურულ მოძრაობაში შემოიყვანა ისეთი ძლიერი რევოლუციური პოეტი როგორიც არის ემილ ვერჰარენი მისი—„აჯანყებით“ „მჭედელთან“, „ტრიბუნით“, „რიყრაყებით“, მისი რისხვით რევოლუციური წყალდიდობის მრავალფეროვნების წინასწარმეტყველური განჭვრეტით, მეამბოხის მისწრაფებით მომავლისაკენ, მისი ბრწყინვალე სახეებისა და რიტმების სიუხვით. ბრიუსოვს იზიდავდა ყოველივე პათეტურ დიდბუნებოვანი. ისტორიულად „ბრწყინვალე, საქვეყნოდ მნიშვნელოვანი. და როგორც კი ისტორიის საჰე შემოტრიალდა და რევოლუციის ძლევამოსილმა ნიაღვარმა დაიგრიალა ყოფილი იმპერიის მთელ სივრცეზე, ბრიუსოვმა ერთბაშად გასწყვიტა კავშირი წარსულთან და თავის სიკვდილის უკანასკნელ დღემდე იცოცხლა რევოლუციასთან ერთად, სტოიკურად გადაიტანა რა ინტერვენციის, შიმშილის, შეთქმულებათა, სიცივის, ეპიდემიების, ბარბაროსური, ჰეშმარიტად „ტროგლოდიტური“ სიღატაკის მომაკვდინებელ ქართა ქროლვანი“. უფრო ადრე, როცა ინტელიგენციამ ზურგი უბრუნა ოქტომბერს,—ბრიუსოვმა დასწერა „ამხანაგ ინტელიგენტების“ საგულისხმოდ მკაცრი „ინვექტივი“.

მას შეგნებული ჰქონდა ახალი წყობის ისტორიული აუცილებლობა. მისი გამარჯვების აუცილებლობა, თავისი მახვილი გონებით იგი სჯვრეტდა ამ გამარჯვებას.

პოეტური ძაფი, რომელიც მოდის „მომავალი ჰუნებიდან“, თავს იყრის კრებულში „Светоч мысли“, სადაც შეკუმშულ სტრიქონებში ბრიუსოვი ცდილობს მოგვცეს მსოფლიო ისტორიის ძირითადი ეტაპები.

ბრიუსოვი დასტირის ჩვენი სოფლის აუცილებელ დაღუპვას, მაგრამ იღებს თასსაც მომავლის სადღეგრძელოდ და სადიდებლად.

ენციკლოპედიური ცოდნის, დიდი კულტურის ადამიანი ბრიუსოვი დაავადებული იყო ერთგვარი ეტლექტიურობით., მაგრამ ერთი ცენტრალური იდეა ფლობდა მას, ეს არის იდეა კანონზომიერების, რომელსაც იგი ეძებდა ყველგან, ემყარებოდა რა თავის განსაცვიფრებელ ერუდიციას. სოციალიზმის საერთო პოეტურსაზროვნო საგანძურში უცხო ნაპირებიდან ლტოლვილმა ამ შესანიშნავმა ადამიანმა თან ძოიტანა რჩეულ იდეებისა და სახეების უმდიდრესი მემკვიდრეობა. კულტურის გამრჯელი ოსტატი ბრიუსოვი დღეს დაუმსახურებლად მივიწყებულია და ჩვენს ძოვალეობად მიგვაჩნია აღვადგინოთ მისი შესანიშნავი საქმე.

ჩვენ ყველას გვახსოვს ის მაღალი შეფასება, რომელიც მწერალთა საკავშირო ყრილობაზე მისცა ბუხარინმა ბრიუსოვის პოეზიას. ბრიუსოვის ლიტერატურული მოღვაწეობა განსაკუთრებით მრავალმხრივი იყო. მას უნაყოფოდ არ დაუკარგავს არც ერთი წუთი თავისი შედარებით არა ხანგრძლივი სიცოცხლისა (1873-1924) და სიცოცხლეშივე გამოსცა თავისი ნაწერების ოთხმოცი წიგნი.

თუმცა ბრიუსოვს ჩვენ ვაფასებთ უპირველეს ყოვლისა როგორც პოეტს, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს მხატვრულ პროზას, კრიტიკულ წერილებს და თარგმანებს. თავისი უნივერსალობით ბრიუსოვი მოგვაგონებს პუშკინს და გოეტეს. ჩვენ შეგნებაში ბრიუსოვი ჩამოყალიბდა, როგორც კლასიკოსი, როგორც აკადემიური ფიგურა, მაგრამ იყო დრო, როდესაც მას სდევნიდენ როგორც ნოვატორს და უარყოფდენ როგორც პოეტს. როდესაც დაიბეჭდა მისი ერთსტრიქონიანი ლექსი—„О, закрой свои бледные ноги“, ამან მოახდინა სკანდალის შთაბეჭდილება.

1894-5 წ. წ. ბრიუსოვმა გამოსცა სამი კრებული—„რუსი სიმბოლისტები“, და ამ პატარა კრებულებმა ისტორიული როლი ითამაშეს რუსეთის სიმბოლიზმის განვითარებაში. ბრიუსოვის ირგვლივ მოიყარა თავი ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ. ის აარსებს საკუთარ ჟურნალს („Весы“), რომელმაც ხელი შეუწყო ბრიუსოვის მიმართულების გამარჯვებას.

1917 წლიდან ბრიუსოვმა დაიწყო მუშაობა რევოლუციის მხარეზე; მას დევნიან ყოფილი ლიტერატურული თანამოღვაწეები. 1920 წ. ბრიუსოვი ხდება კომუნისტური პარტიის წევრი და იწყებს მუშაობას მთელ რიგ საბჭოთა დაწესებულებებში.

თუ წინად ბრიუსოვი, როგორც რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური ტენდენციების მებაიირახტრე, ოცნებობდა მოსკოვზე, როგორც მესამე რომზე, ახლა ის ადიდებს რუსეთს, როგორც მსოფლიო რევოლუციის ავანგარდს. ის ადიდებს პარიზის კომუნარებს, პერიკლესს უპირდაპირებს ლენინს, უძღვნის ლექსს ლუნაჩარსკის, ჩაქუჩს და ნამგალს. ეს მეტამორფოზა არ არის მოულოდნელი. ბრიუსოვი თავიდანვე განსხვავდებოდა თავის ამხანაგებისაგან და დიდი თაყვანისმცემელი იყო რაციონალისტური აზროვნების. კიდევ ჟურნალ „ვესებში“, ძებრძოლ სიმბოლიზმის ხანაში, ბრიუსოვი ეწეოდა მეცნიერული პოეზიის პროპაგანდას. თვითონ ბრიუსოვის მისტიციზმს თავისებური ხასიათი აქვს; მას უნდა დაიმორჩილოს თუნდაც მაგიის საშუალებით ბუნების საიდუმლოებანი.

ბრიუსოვის პოეზია ბურჟუაზიულ კლასთან არის დაკავშირებული. რუსეთის ბურჟუაზიამ ვერ შექმნა მძლავრი კულტურა, მაგრამ მისი წარმომადგენლები ენერგიულად აგროვებდენ წარსულის ღირებულებებს. ბრიუსოვი იყო პოეტი-კოლექციონერი. „თუ შჩუკინები, მოროზოვები, რიაბუშინსკები თავის სასახლეებში აგროვებდენ ქანდაკებებს, სურათებს და ფაიფურს, ბრიუსოვი ცდილობს შეიყვანოს თავისი პოეზიის პანთეონში „ყველა ღმერთები“, ყველა ვრების და დროების სიმღერები“. თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ბრიუსოვი არის აღმავალი ბურჟუაზიის ზრახვების გამომხატველი. ეს ბურჟუაზია გრძნობს თავის თავს საუკუნეების მემკვიდრეთ, მას ჰსურს კულტურული ჰეგემონია ჩაიგდოს ხელში. ბრიუსოვი ამ ხანაში ადიდებს, როგორც უაღრესი ინდივიდუალისტი, ასარგადონს, ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს,—ყველას, ვინც იპყრობდა მსოფლიოს. ვერხარნის „ბანკირი“ ხიბლავს ბრიუსოვის ოცნებას თავისი ძლევამოსილებით.

მაგრამ ბრიუსოვი გრძნობს როგორც შემოქმედი, რომ ბურჟუაზია განწირული კლასია. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბრიუსოვი განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის თავისი კლასის გადაგვარებას. იგი სწერს დრამას („დედამიწა“), რომელიც გვიხატავს „მომავალ დროთა სცენებს“—მთელი კაცობრიობის გადაგვარების და სიკვდილის სურათებს. თავის ლექსში „თეთრი მერანი“ ბრიუსოვი იძლევა ბურჟუაზიული კულტურის დაუვიწყარ დინამიკას. აქ ბრიუსოვის ურბანიზმი მოცემულია აპოკალიპსის სახეების ფონზე.

ბრიუსოვი წინასწარ ესალმება 1903 წ. რევოლუციას თავისი „ხანჯალით“. მას ყოველთვის ჰქონდა თანამედროვეობის გრძნობა, 1901 წელს ეკუთვნის მისი ლექსი „კალატოზი“. ბრიუსოვი აღტაცებით ესალმება „მომავალ ჰუნებს“, რომელნიც მოსპობენ ბურჟუაზიას. პოეტი ამბობს: „იქნებ დაიღუპოს ყოველივე, რაც ვიცოდით მხოლოდ ჩვენ, მაგრამ თქვენ, ვინც გამანადგურებს მე, ჩემი აღტაცებული სალამი“. ცნობილია მისი „ჰიმნი ხალხს“.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ბრიუსოვის პოეზიაში ოქტომბრის რევოლუციამდე იყო ელემენტები, რომელნიც უარყოფდენ კაპიტალისტურ კულტურას. ოქტომბრის რევოლუციაში ბრიუსოვმა იპოვა ის, რასაც ამაოდ ეძებდა ბურჟუაზიულ კულტურაში. იგი ხედავდა, რომ მთელი კულტურა დაიღუპება, თუ პროლეტარიატი არ დაეუფლა მას.

ბრიუსოვი გადაიქცა აპოლოგეტად ამ ახალი კლასისა და შექმნა რამდენიმე შედევრი, სადაც ის იძლევა ოქტომბრის რევოლუციის აპოლოგიას („მესამე შემოდგომა“, „ამხანაგ ინტელიგენტებს“, „ნამგალი და ჩაქუჩი“ „ლენინი“). მაგრამ ბრიუსოვი დატვირთული იყო თავისი წარსულით და იგი ვერ გახდებოდა, როგორც მაიაკოვსკი რევოლუციის ნამდვილი პოეტი.

არ დარჩენილა არც ერთი უძნელესი ფორმა ლექსისა, რომ ბრიუსოვს არ აეთვისებიოს და არ დაეძლიოს. საუკეთესო და თითქმის პირველი რუსული სექსტინა („Отречение“) ბრიუსოვს ეკუთვნის. ბრიუსოვი არის ალიტერაციის იშვიათი ოსტატი, მიუხედავად იმისა, რომ მისი პოეზია ზედმიწევნით პლასტიურია. რასაკვირველია, მაგიური ძალა მისი სტრიქონების მის სინტაქსში იმალება, სიტყვების თავისებურ დალაგებაში და გამოყენებაში. ბრიუსოვის ეპიტეტი კიდევ მოელის თავის მკვლევარს. მან შემატა რუსულ პოეზიას აუარებელი რიტმები და რითმები.

ბრიუსოვმა სრული უფლებით აღიარა, რომ მან შესწირა პოეზიას მთელი თავისი სიცოცხლე და შრომა („პოეტი მუზას“).

ფიქრობენ, რომ გერმანელ ქერა ქალთან შავგვრემანდა აზიელმა საოჯახო სარეცელი რომ გაიზიაროს, აქედან წარმოშობილი ცხოველი იქნება მხოლოდ დარვინის ობიექტი, ე. ი. საშუალო მოვლენა ადამიანსა და საქონელს შორის.

„გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსი გესლიანი ირონიით ამასხარებს თავისი დროის ახალგაზრდა იდეოლოგებს, რომლებსაც თავიანთი უსუსური შემოქმედება მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე რევოლუციად მიაჩნდათ აზროვნებაში, — უფრო ღირსშესანიშნავ მოვლენად, ვიდრე საფრანგეთის დიდი რევოლუცია ანდა ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა ბრძოლა. მარქსის ეს გამანადგურებელი დაცინვა ზეგამოჭრილია ფაშიზმის „ფილოსოფოსებზედაც“, ესენიც დარწმუნებული არიან, რომ საკაცობრიო კულტურის ისტორიაში მათ მოახდინეს ჯერ არნახული რევოლუცია; აზროვნებას ლოგიკური საფუძველი გამოუცვალეს, განვითარებას მიმართულება და გემოვნებას საზომი.

ქუჩაში მიმავალი ფაშისტი რომ შეაჩერო და კითხვა დაუსვა, თუ რაში მდგომარეობს ამ უდიდესი რევოლუციის შინაარსი, გიპასუხებს: ჩვენ ავადუღეთ სისხლი, ჩვენ აღვადგინეთ ტევტონური სული, ურიებს წავართვით თეთფეროვანი ქრისტე, კლასთაბრძოლის სიცრუე მოვსპეთ და სისხლს სისხლი დავუპირისპირეთ, რასა რასასო—და სხ.

დიდი სიბრძნე არ უნდა იმის გაგებას, თუ რომელ მსოფლიო რევოლუციაზეა აქ ლაპარაკი. როზენბერგს წამოცდა, თუ რას მოითხოვს მისი ადუღებული სისხლის მითოსი. ეს ის „მსოფლიო რევოლუციაა“, რომელიც მოლტკეს კანონიერ მემკვიდრეს გენერალ ლუდენდორფს უნდა მოეხდინა 1914—1918 წლებში.

ლუდენდორფს ბედმა არ გაუღიმა, ისტორიას ამოცანა გადაუჭრელი დაურჩა, ფაშისტებს უნდათ ამ საქმეზე თავიანთი ბედი გამოსცადონ. ეს არის მათი ფილოსოფიის დასაბამი. ლოგიკიდან დაწყებული ესთეტიკამდე შეგნებულად ატარებენ ფაშისტები ამ ფილოსოფიას. ამ მხრივ მართლაც საინტერესოა როზენბერგის წიგნი. ფაშისტები შეგნებულად ცდილობენ ყველაფერი მოლტკეს დაუქვემდებარონ, ღმერთიდან დაწყებული ბერლინელი მაკლერით გათავებული. ვისაც მოლტკესთან სრული თანხმობა არ აღმოაჩნდება, ფაშისტები მის სისხლში სემურ ბაცილას აღმოაჩენენ და გერმანელობაზე უარს ეტყვიან, იქნება ეს კანტი, გიოთე, თუ ბისმარკი, ეს სულერთია.

ფაშისტები გვპირდებიან, რომ ისინი შეუცვლიან ისტორიას მიმართულებას, ხალხებს — თავიანთ ადგილს გეოგრაფიულ ზონებში, მეცნიერებას გაანთავისუფლებენ „ურიებისაგან“, პოეზიას არიული სისხლის მოღალატე ფრანგებისაგან, სახალხო მეურნეობას „ცრუკაპიტალისტებისაგან“, ერთი სიტყვით, ამ ღმერთისგან აშენებულ ქვეყანას დაანგრევენ და შემდეგ ხელახლა ააშენებენ მოლტკეს რეცეპტის მიხედვით. ეს და ბევრი ასეთი დაპირება ჯერ ხნობით განზე გადავდოთ და ამ წერილში ვნახოთ, თუ როგორ ნაციონალსოციალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი მოციქული ალფრედ როზენბერგი გვპირდება მოაგვაროს ესთეტიკის საკითხები, თუ რას ფიქრობს საკაცობრიო კულტურის ეს გამოჩენილი ლამანჩელი იმ დისციპლინის ფაშისტურ რევოლუციისადმი დაქვემდებარებაზე, რომლის პრინციპები პლატონის „სიმფოზიონში“ იქნა პირველად ეამკვიდრებული.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქალაქი

ვალერი ბრიუსოვი

თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილის

შენ როგორც მეფე ბატონობ ბარზე.
ზეცა დასერე ცეცხლის ცხრილებით,
დაუზოგველად შემოიგარსე
შენი საზღვარი ქარხნის მილებით.

მინის, აგურის და ფოლადისა,
გადახაზულო რკინის რკალებით,
ხარ ჯადოქარი სამარადისო—
ადამანტური იდუმალებით.

როგორც ვეშაპი უფრთო და მწყრალი,
ჩასაფრებული—სდარაჯობ წლობით.
დაუშრეტელი გაზი და წყალი
რკინის ძარღვებში დაგიდის ხმობით.

შენი სტომაქი ხარბი, მშიერი,
ჟამთა ნადავლით ვერ გამაძღარა,
მასში მრისხანებს ბოღმა ძლიერი
და სიღატაკე ღრიალებს მარად.

ჭკუაცბიერო! ავ მოსაზრებით
კოშკებით სივრცე შენ შემორკალე.
შენ საზეიმო დადგი ტაძრები,
იქ მიეც ბინა წიგნებს და ქალებს.

შენ თვითონ იწვევ ულმობელ მტერებს.
შენ ვამოიხმობ ურდოს თავნებას,
და შავ მიტინგზე გზავნი ქიმერებს:
სიმშილს, სიგიჟეს, ამპარტავნებას.

და როცა ბოლის სახლებში მოდის
კვლავ გარყვნილება ცეცხლის სალამით,
მაღალ ჭიქებში ხმაურობს ოდეს
ტკბილვნებიანი წუთების შხამი.

შენ ღუნავ მონებს მაგარი მხრებით,
რომ დაუდგრომელ მძიმე ხველებით
როტაციონის მძლე მანქანები
კვეთდენ მახვილებს მეტ გახელებით.

ცბიერო გველო, ჯადოსნურ ცქერით,
ბრმა გაბრაზებით და რისხვით სავსე!
სიკვდილის დანა შხამის იერით
შენ თვით ამართე საკუთარ თავზე.

ვ. ბრიუსოვი ქართულად

ვალერი ბრიუსოვის ლექსები მხოლოდ ამ ბოლო დროს ითარგმნება... ნათარგმნია ოციოდე ლექსი (მთარგმნელები: ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, ხ. ვარდოშვილი, ვ. გორგაძე, კ. ჭიჭინაძე, კ. ნადირაძე და ივ. ყიფიანი). მისი ერთი ლექსი კი სახელდობრ „კალატოზი“ ხუთმა მწერალმა თარგმნა.

ნინო ლომაურმა (იხ. „ქართული“ 1912 წ. № 40).

ბ. ახოსპირელმა (იხ. „სახალხო ფურცლის“ დამატ. 1913 წ. № 162).

სეზმან ერთაწმინდელმა („მხედარი“, 1919 წ. № 2).

ლავრენტი ძიძიგურმა (1921 წ.).

ვ. გაფრინდაშვილმა („დროშა“ 1923 წ. № 5).

კინო-დრამატურგის და რეჟისორის თანამშრომლობისათვის

მიხ. ჭიაურელი

საბჭოთა კინემატოგრაფია, რომელსაც უდიდეს ყურადღებას აქცევს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, განიცდის მაღალი ხარისხის სცენარების ნაკლებობას. მდგომარეობის გამოსასწორებლად ხელმძღვანელ ორგანოების მითითებით კინოწარმოებაში მოიწვიეს მწერლები. ამ ღონისძიებამ საგრძნობი შედეგები მოგვცა რუსეთის კინემატოგრაფიაში.

სამწუხაროდ ჩვენში, მწერლების მოწვევამ კინემატოგრაფიაში დღემდე ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. ამის მიზეზები მრავალია. ბრალი მიუძღვის ერთის მხრივ სასცენარო განყოფილებას, რომელმაც ვერ გაუწია მწერლებს კონკრეტული დახმარება იმ უჩვეულო საქმეში, როგორიცაა მწერლის მიერ კინონაწარმოების დამზადება და მეორე მხრივ თვით მწერლობასაც მიუძღვის დანაშაული კინო-წარმოების წინაშე, — ჩვენ ვერ ვხედავთ მწერლების რეალურ დაინტერესებას კინემატოგრაფიით, იშვიათად ვხვდებით მათ კინო-სურათების განხილვაზე, კინო-თეატრებში, ვერ ვხედავთ მათ გაცხოველებულ ინტერესს სასცენარო საქმისადმი. ბევრისათვის დღემდე გაურკვეველია საკითხი, რას წარმოადგენს კინო-სცენარი? რას მოელის მწერლისაგან კინო-წარმოება?

იყო ცდები კინო-სცენარის დამთავრებულ მხატვრულ ნაწარმოებად გამოცხადებისა. პირადად მე სცენარის ასეთი გაგება შეცდომად მიმაჩნია. ძნელია დასახელება ისეთი სცენარისა, რომელიც რეჟისორულ გაფორმების გარეშე წარმოადგენდეს დამთავრებულ მხატვრულ მოვლენას. სცენარის სრულყოფილ არსებობას ჩვენ ვხედავთ დამთავრებულ კინო-სურათში. მაშასადამე, თვით სცენარის ხასიათი მჭიდროდ უკავშირდება იმ რეჟისორის ინდივიდუალობას, რომლისათვისაც ის იწერება. რეჟისორების დაყოფა შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად.

პირველს, უმაღლეს კატეგორიას ეკუთვნიან რეჟისორები საკუთარი დამთავრებული სოფლმხედველობით (როგორიც არის მაგ. **დოვჟენკო**), მათ ახასიათებს სოციალურ მოვლენების ორიგინალური ათვისება და გაგება, დიდი შემოქმედებითი პოტენცია, სცენარისტი და რეჟისორი მათში გაერთიანებულია, და გასაგებია, თუ სცენარის ავტორობას ისინი არავის არ უთმობენ. რა თქმა უნდა, სადავო საკითხია, რამდენად მიზანშეწონილია ეს „გაერთიანება". არაერთხელ იყო გამოთქმული აზრი, რომ სურათის დადგმა — რეჟისორული გაფორმება იმ შემოქმედებითი პროცესის განმეორებაა, რომელიც სცენარის შედგენის დროს ხდება. ეს თითქოს ასუსტებს რეჟისორის სპეციფიურ როლს, მაგრამ ისეთი უდიდესი კინონაწარმოებები, როგორიცაა დოვჟენკოს „მიწა", კავალერიძის „კოლიივშჩინა", სრულიად აბათილებენ ამ აზრს.

რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი

მეორე კატეგორიას ეკუთვნიან რეჟისორი ინტერპრეტატორები, როგორც, მაგ. პუდოვკინი, როომი, პეტროვი და სხვანი. სცენარისტისა და რეჟისორის თანამშრომლობა აქ ქმნის მდგომარეობას, როცა ერთი მხარე მდიდრდება მეორე მხარის შემოქმედებითი უნარით, თავისებურ „გამომგონებლობით". საბჭოთა კინემატოგრაფიამ ჩვენ მოგვცა მთელი რიგი შედევრები ამ იდეალურ თანამშრომლობის შედეგად „დედა", „იმპერიის ნამსხვრევი", „სანკტ-პეტერბურგის დასასრული" და სხვ. კინოდრამატურგის როლი აქ უთუოდ დიდია. ის აძლევს რეჟისორს დამთავრებულ სიუჟეტს, ხასიათებს, მკაფიოდ მოხაზულ კონფლიქტს და კონფლიქტის გარკვეულ გადაჭრას. ამ შემთხვევაში საავტორო კინო - სცენარი ახლო დგას პატარა მოთხრობასთან, ნოველასთან და მწერალს, რომელსაც სურს კინოში სერიოზული მუშაობა, საშუალება აქვს ბევრი რამ მოიტანოს თვით ლიტერატურიდან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სცენარისტისა და რეჟისორის მუშაობა არ შეიჭრება ხოლმე ერთი სფეროდან მეორეში, იძლევა მორალურად დამაკმაყოფილებელ მომენტებს ორივე მხარისათვის. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ ვიცით, რომ არა ერთი ავტორი გაექცა კინოს ამ შეუვალობის შელახვისათვის. მუშაობა რეჟისორ - იმპრეტატორთან ფართო შესაძლებლობას აძლევს სცენარისტს თემის გაღრმავებისა და და საინტერესო ლიტერატურული გაფორმებისთვის.

მესამე კატეგორიას ეკუთვნიან რეჟისორები-იმიტატორები, რომელნიც მეტწილად მოკლებული არიან სოფლმხედველობას, სოციალურ მოვლენების ან ხასიათების გაგების ორიგინალობას. ამ გატეგორიას ეკუთვიიან რეჟისორები, რომლებიც მოითხოვენ ხოლმე კინოდრამატურგისაგან „რკინის" სცენარს, ე. ი. ისეთ კინო-ნაწარმოებს, რომელშიაც მოცემულია ლიტერატურულად დამთავრებული სურათი, სცენარს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სცენარისტის მიერ „დასახულ" სურათის აღწერას. გასაგებია, რომ ვერც ერთი მწერალი ამ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და ეს საქმე შესასრულებლად დარჩებათ პროფესიონალ კინო - სცენარისტებს, რომლებსაც კინო-წარმოების სპეციფიკის კარგი ცოდნა „მომავალ" სურათის დანახვის საშუალებას აძლევს. კინო ერთდაიმავე დროს ხელოვნებაცაა და წარმოებაც და ასეთ რეჟისორ იმპრეტატორების არსებობა კინო-მრეწველობის თვალსაზრისით გამართლებულია. რეჟისორი-ინტერპრეტატორი მაინც და მაინც თავს არ იწუხებს რაიმე „აღმოჩენებით" —ის მუშაობს სტანდარტების დახმარებით, ათასჯერ გამოცდილ ხერხების მიხედვით. აქ უკვე სცენარისტი ნაწილობრივ კისრულობს კინო-რეჟისორის როლს. ამ როლის დაკისრება არც ადვილია, არც საჭირო და სასიქადულო მწერლისთვის, რომლისგანაც საბჭოთა კინემატოგრაფია მოელის კინო-დრამატიულ „მაგნიტოგორსკებს".

სურათში „უკანასკნელი მასკარადი" ჩვენ მოგვიხდა ერთდროულად სცენარის ავტორობა და მისი რეჟისორული გაფორმება. საკუთარ ზურგზე ვიგრძენი ამ ტვირთის სიმძიმე. სცენარისტისა და რეჟისორის ფუნქციების განსაზღვრა ასეთ მუშაობაში ძნელი ხდება. უმთავრესად ამით აიხსნება ის დეფექტები, რომელთაც მე როგორც ავტორი, კარგად ვგრძნობ „უკანასკნელ მასკარადში", სურათის ფრანგმენტულობა, გმირების მოქმედების სუსტი სოციალური მოტივაცია, დრამატიულ ხერხემლის სისუსტე — ეს შედეგია იმის, რომ ძლიერ ძნელია ერთი ადამიანისათვის ზიდოს ორმაგი შემოქმედებითი ტვირთი — რეჟისორის და სცენარისტის.



პოეტი გიორგი ქუჩიშვილი რევოლუციონერ ტეროორისტის როლში კინო-სურათში „უკანასკნელი მასკარადი"

ლიტ. გაზეთი

რეჟ. მ. ჭიაურელი.

უკანასკნელი ფეცდომა

ხუთი წლის წინად, ივლისში (როცა ყოველი მწერალი ავანსს ეძებს)—ინტუიციით სახკინმრეწვში მოვხვდი. სცენარი შემიკვეთეს და კმაყოფილი მეორე დღესვე ტფილისს გავცილდი. გავიდა დრო, ისევ დადგა ივლისი და ისევ საგონებელში ვიყავი, რომ სახკინმრეწვიდან ბარათი მივიღე. სასწრაფოდ მიბარებდენ. გამახსენდა აღებული ავანსი და თავზარი დამეცა, მაგრამ სახკინმრეწვში მაინც გამოვცხადდი...

— არა უშავს, — ღიმილით მანუგეშეს იქ.—მართალია, ეს სცენარი არ დაგვიწერე, მაგრამ, ახლა ახალ შეკვეთას გაძლევთ, სულ სხვა თემაზე. აღებული ავანსი კი ჩამოგეწერებათ...

კარგი მეთქი, მივიღე შეკვეთა და ზაფხული ისევ აგარაკად გავატარე. გავიდა დრო. დადგა გაზაფხული და სახკინმრეწვმაც დამიბარა. თავის გასამართლებელი პასუხი დავამზადე და გამოვცხადდი.

— არა უშავს,—ღიმილით მანუგეშეს იქ,—მართალია, სცენარი არ დაგვიწერე, მაგრამ, გადავწყვიტეთ, შტატში აგიყვანოთ და ყოველთვიური ჯამაგირი დაგინიშნოთ. გაეცანი წარმოებას და დაწერე. აღებული ავანსი კი ჩამოგეწერებათ.

მეგობრული შარჟი

რეჟისორი ლეო ესაკია

კარგი მეთქი და დავიწყე სამსახური. უნდა ითქვას, რომ ჯამაგირს დროზე იძლეოდენ. ორჯერ-სამჯერ მეც გავატარე რამდენიმე საათი წარმოებაში. სიამოვნებით მოვისმინე ჭიაურელის ანეგდოტები, შენგელაიასაც მოვკარი თვალი, ხელებგაშლილი მომავალი მუშაობის გეგმებს რომ აცნობდა ვიღაცეებს. ლეო ესაკიაც ვნახე და ველიმირ ხლებნიკოვის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ კინო წარმოებას მაინც ვერ გავეცანი. მათი საქმიანობა მაინც ვერ ვნახე. დრო კი გავიდა და ერთხელ შინ უწყება მივიღე: სამსახურში ორი თვის გამოუცხადებლობის გამო მოხსნილი ხარ და გასული თვეების კუთვნილი ხელფასი შეგიძლია მიიღოო. რას ვიზამდი? ხელფასი მივიღე და კიბეებზე რომ ჩამოვდიოდი, სასცენარო განყოფილების ახალ გამგეს შევეყარე (გამგეები აქ ხშირად იცვლებოდენ). უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ დავეთანხმე და ახალი ხელშეკრულება მაინც დავდევი. ერთი თვის განუწყვეტელ მუშაობის შემდეგ კინო-სურათის ლიბრეტო წარვადგინე. მოიწონეს. რეჟისორები სათითოოდ გამიხმობდენ ხოლმე და რჩევა-დარიგებას მაძლევდენ.

კუთვნილი ჰონორარი ავიღე მაგრამ რა!—ამის შემდეგ წარმოების ხელმძღვანელობა სამუდამოდ დამეუბრა. აღარავის უნდოდა მოესმინა რამე მოწონებულ ლიბრეტოს შესახებ... მე ჩემი დანაშაული დიდხანს ვერ შევიგნე და სახკინმრეწვის კიბეებზე ნერვებაშლილი სცენარისტ მდივანივით ვხტოდი... იქნებ შევცდი, რომ მარტომ დავწერე ლიბრეტო და არც ერთ რეჟისორს არ გავუთანაავტორდი. იქნებ ჰონორარს იმიტომ მაძლევდენ, რომ ლიბრეტო არ დამეწერა და ჩემთვის ჩუმად ვყოფილიყავი,—ვფიქრობდი მე მაშინ... დღეს უკვე ვიცი ყოველივე და ვდუმვარ...

ავტორთან ერთად
ხელს აწერს სამი მწერალი

მეგობრული შარჟი

რეჟ. ნიკოლოზ შენგელაია

„ალენას სიყვარული"

ტფილისის ეკრანზე ახლა მიმავალ სურათებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბჭოთა კომედია „ალენას სიყვარული".

კომედია რომ ძნელი დარგია და რომ აქ დიდი მოქნილობაა საჭირო რეჟისორისთვის, რათა არ გადააჭარბოს — ეს ყველასთვის ცნობილი გარემოებაა. მაგრამ არის ერთგვარი შეგნებულად დაშვებულ „გადაჭარბებების" მეთოდი ანუ გროტესკული ხერხი, როდესაც ყველა მოვლენები განზრახ გაზვიადებულია. ლიტერატურაში ცნობილია ასეთებად სვიფტის „გულივერის მოგზაურობა" და გიორგი წერეთლის „კიკოლიკი..."

როდესაც მაყურებელი თუ მკითხველი გროტესკულ ნაწარმოებს ითვისებს, ის თავიდანვე ითვალისწინებს, რომ ასეთ ნაწარმოებში ყოველივე გაშარჟებულია და ამიტომაც არც უკვირს ავტორის მიერ დაშვებული გადაჭარბებანი. განცვიფრებას იწვევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ნაწარმოებში შემთხვევით შეიჭრებიან ზედმეტ ხორცად. ამიტომ სწორი არ არის ზოგიერთი ჩამორჩენილ თეორეტიკოსის მტკიცება, თითქოს გროტესკული ხელოვნების ათვისება მასებს უჭირსო. ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს „ალენას სიყვარულიც". აქ ბევრია ნაკლი და გულუბრყვილო ადგილები, მაგრამ მაყურებელი გულიანად, დიდის გულწრფელობით ხარხარებს და არც უკვირს გადაჭარბებანი, რადგან სურათის დასაწყისიდანვე რეჟისორმა მიახვედრა მაყურებელი, თუ რა ტიპის ნაწარმოებთან აქვს მას საქმე.

მეტად დამაინტერესებელი და კომიკური სიტუაციებით აღსავსე სცენარიც ხელს უწყობს სურათის გამარჯვებას.

ამბის გაშლის მხრივ მთავარია ამ სურათში ახალი ადამიანის ზრდისა და კერძოდ ქალის დიდ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის საკითხები. სიხარულის და მეგობრული სიცილის ტალღას იწვევს მაყურებელში ის ადგილები, სადაც წინეთ ჩამორჩენილი სოფლელი ქალი თავისი „ოთახიდან" ნაგავთან ერთად „პიჟონ" „კავალერებსაც" გამოჰყრის.

ვიქტორ გორდელაძე

რედაქციისაგან: მომავალში ჩვენი გაზეთი მოათავსებს ხოლმე პატარა რეცენზიებს და შენიშვნებს იმ საყურადღებო სურათზე, რომლებსაც აჩვენებენ საქართველოს ეკრანზე. სასურველია სპეციალისტების, მწერლებისა და მაყურებლებისგან მასალების მიღება ამ საკითხზე.

შალვა ძნელაძე

დავით კაკაბაძე

შალვა ძნელაძეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველ მხატვართა შორის და ეს მნიშვნელობა მხოლოდ ახლა გახდა გასაგები,

დაიბადა 1892 წ.—გარდაიცვალა 1934 წ.

როდესაც მის ნამუშევარს მთლიანად ვაჯამებთ.

მისი შემოქმედება ასახავდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობასა და მე-40 წლების გლეხურ მოძრაობას გურიაში.

გურიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში. იგი იძლევა დიდ მასალას მხატვრული შემოქმედებისათვის.

ეგნატე ხინოშვილის ნაწარმოები მხატვრისათვის კიდევ უფრო ამახვილებს ამ საკითხს.

შალვა ძნელაძის შემოქმედებითი გზა მეტად სიგულისხმოა ჩვენი მხატვრობის განვითარების საქმეში. როდესაც ძნელაძე გამოვიდა ასპარეზზე, იგი უკვე კარგად მომზადებული იყო: საკმაოდ მომარჯვებული ჰქონდა შემოქმედებითი ხერხები და შინაარსის სწორი გაგების უნარიც გააჩნდა.

რევოლუციურ მოძრაობის ასახვა მოითხოვს დიდ ტილოებს და დაკვირვებულ მუშაობას. ხოლო ამისათვის საჭიროა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა:

ძნელაძეს კარგად ესმოდა ეს—პირნათლადაც მუშაობდა ამ ხაზით: მისი პროდუქცია არის უფრო სწორედ ეს ნარკვევები, ვიდრე მთლიანი სურათები.

მაგრამ სიკვდილმა მას ეს მიზანი არ მიაღწევინა.

შალვა ძნელაძის ნარკვევების სიმძაფრეს, შინაარსიის ზუსტ გამომეტყველებას ხელს უწყობდა გამოხატვის ის მარტივი მხატვრული ენა, რომელიც მას სწორად ჰქონდა გამომუშავებული და სწორადვე შეესაბამებოდა თვით შინაარსს.

ხაზისა და ფერის მახვილობა მარტივ შინაარსთან დაკავშირებით, სახეების მეტად დამაჯერებელი გამოხატულობა, ცოცხალი მოძრაობა—ყველა ეს ჰქმნის მის ნაწარმოების ღირსებას.

ძნელაძის ნარკვევებიდან მახსოვრობაში დამრჩა „დამარცხებულნი“, „ბატონი და ყმა“, „სამხედრო თათბირი“ (გურიის მე-40-ე წლების მოძრაობიდან) და „1905 წელი გურიაში“, „დაჭრილი რაზმელის გასვენება“.

როდესაც ძნელაძის ნარკვევთ უყურებთ, გინდათ, რომ ისინი სურათებში იქნეს გამოსახული. შალვა ძნელაძის დაწყებული საქმე უნდა გაგრძელდეს. ჩვენ უნდა შევქმნათ დიადი სურათები საქართველოს რევოლუციურ მოძრაობის ისტორიიდან.



შალვა ძნელაძე — ესკიზი

უკრაინული პოეზია ქართულად

საქ. სახელგამმა 1935 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანა თანამედროვე უკრაინული პოეზიის ანტოლოგია.

კულიკის, ბევანის, რილსკის, ტიჩინას და ტერეშჩენკოს უკვე თარგმნილ ნაწარმოებთა გარდა, კრებულში შევა თანამედროვე უკრაინის ყველა ცნობილი პოეტის ნაწარმოები.

ამ მუშაობის შესასრულებლად სახელგამმა მოიწვია პოეტები:

სახელგამის სამხატვრო სექტორმა უკრაინის მწერალთა კავშირს მიმართა თხოვნით—შეარჩიოს გადასათარგმნი პოეტები და გადმოგზავნოს მათ ნაწარმოებთა ტექსტუალური თარგმანი.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა სცემს ოვანეს თუმანიანის ნაწერებს ერთ დიდ ტომათ, სათანადო ილუსტრაციებითა და კომენტარიებით. წიგნი გამოდის ედიშერ ჩარენცის რედაქციით და ტ. ხაჩვანქიანის გაფორმებით.

სახალხო პოეტ აკოპ აკოპიანის ნაწერების სრული კრებული იბეჭდება ორი ფერი საღებავით, მაღალ ხარისხის ქაღალდზე და მალე გამოვა.

ფირდოუსის „როსტომ და ზურაბი“ ითარგმნა და გამოიცა სომხეთში გეორგ ასატურისა და ედიშერ ჩარენცის რედაქციით. გაფორმებულია და დასურათებული სომხეთის სახალხო მხატვარ სარიანის მიერ.

შალვა ძნელაძე — სამეგრელოში

ქრონიკა

საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტპროპმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი ახალგაზრდა მწერლების და კრიტიკოსების (პარტიის წევრების და კომკავშირელების) თეორეტიული დონეს ასამაღლებლად. ერთ-ერთ მთავარი ღონისძიებაა—დაწინაურებულ ახალგაზრდების სასწავლოდ ტფილისის უნივერსიტეტის ლიტფაკულტეტის ასპირანტურაში გაგზავნა სპეციალური სტიპენდიის დანიშვნით, ჯერჯერობით შეიჩეულია; გოგიჯიბლაძე, გრ. აბაშიძე, შ. შავგულიძე, ელ. პოლუმორდვინოვი, თარხნიშვილი, მარგო თომაძე ბორ. ჩხაიძე.

ლაგოდეხში 28 ოქტომბერს მოწვეულია სარაიონო კულტურული კონფერენცია, რომელზედაც მთავარ საკითხად დგას მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა კოლმეურნეობებში. მწერალთა კავშირის მიერ მომხსენებლად გამოყოფილი არიან მწერლები: სანდრო შანშიაშვილი და ირაკლი აბაშიძე.

საბჭოთა მხატვრების კავშირთან თავისუფალ მხატვართათვის ჩამოყალიბდა სახელოსნო, სადაც კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათ საშუალება ეძლევათ იმუშაონ ცოცხალ მოდელებზე. მუშაობა დაიწყება 20 ნოემბრიდან.

ამავე კავშირთან დაარსდა მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი წრე, სადაც უნდა იწარმოოს სისტემატიური მეცადინეობა მხატვართა პოლიტიკური ცოდნის ამაღლების მიზნით.

ლიტერატურის მასწავლებლების თათბირი

„ლიტ. გაზეთის“ ინიციატივით 27 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბელის ქ. № 13) მწერალთა აქტივის თანდასწრებით მოწვეულია ტფილისის განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდ-კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება განსახკომის პროგრამები ქართულ ენაში და ლიტერატურაში არასრულ და სრულ საშუალო სკოლებისათვის (მომხსენებელი ვარლამ ხუროძე).

ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის დასწრება სავალდებულოა.

ჟურნალ ფეიერვერკის L'art hoetique

შვიდი მცნება სახელმძღვანელოდ ახალგაზრდა მწერლებს

ნწარეა, როცა კბილებიდან
ოფლი გამოდის
და ნგრევის ცეცხლში
გათეთრდება თავი ჭარხალი.

ს. ჩიქოვანი

ვისაც გულჯიბეში საკუთარი ლექსი არ გააჩნია,—იგი ახლა სხვა პოეტის დაბეჭდილ ლექსს არ ჰკითხულობს. საჭიროა მშრომელი მასები დაეუფლონ ლექსის წერის ტექნიკას. საჭიროა ათასები სწერდენ ლექსებს, რათა იგივე ათასები მაინც გახდენ თანამედროვე პოეზიის მკითხველები... აი, ღონისძიება, რომელიც გადაჭრის მკითხველისა და მწერლის პრობლემას.

ამას ვისახავ მეც მიზნად.

პოეტობა. ყოველ ახალგაზრდას შეუძლია გახდეს პოეტი და მას სიკვდილამდე ლექსების წერას ვერავინ მოაშლევიებს,—თუ იგი ზედმიწევნით შეითვისებს ჩემ მიერ ჩამოთვლილ მცნებებს და უდროოდ არ დაოჯახდება, (როგორც მაგალითად ნინო თარიშვილი, კალე ფეოდოსიშვილი და სხვ.).

ვინ არის პოეტი? ი. ჭავჭავაძე სწერდა:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა“-ო. და სცდება.

არც ერთი პოეტი ცას არ დაუნიშნავს. პოეტი თავისთავს თვითონვე ნიშნავს პოეტად... მაგრამ დავუბრუნდეთ კითხვას: ვინ არის პოეტი?

ზოგიერთ შეუგნებელს პოეტი ადამიანი ჰგონია, მათ პასუხად სწერს უთუოდ ს. ჩიქოვანი:

„მეძახდი დიდხანს, მომნახე ბოლოს
და შენ ჩაგიკვდა თვალი მზიანი, —
რადგან **პოეტად გესმოდი მხოლოდ**
და ჩემში ნახე ადამიანი...

პოეტი აქ, რა თქმა უნდა, ნათლად გვიხატავს პოეტისა და ადამიანის სხვადასხვაობას. წარმოიდგინეთ უსაზღვრო გაოცება კაცისა, როცა იგი **პოეტს** ეძებს და მის ნაცვლად ადამიანს ხვდება!..

პოეტური აღმაფრენის გამო გავრცელებულია აზრი, თითქოს პოეტს ფრენა შეეძლოს. არ არის მართალი. პოეტი მიწაზე ორივე ფეხით უნდა იდგეს:

„მე ვარ ნამდვილი **ხალხის** პოეტი
მდგარი მიწაზე ორივე ფეხით“.

პოეტის მთავარი დამახასიათებელი თვისება კი სიზარმაცეა:

„თუ პოეტი ხარ, და ხარ ვაჟკაცი...
ნუ დაწერ ლექსებს, იყავ ზარმაცი!“

ამბობს ტ. ტაბიძე და სხვა ლექსში დასძენს: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, რომელიც გამიტანს და თვითონ დამმარხავს“-ო.

ეს უკანასკნელი გამოთქმა ორაზროვანია, თუმცა ორივე ერთსა და იმასვე ასაბუთებს. ცუდი ლექსი, რა თქმა უნდა, პოეტს დამარხავს, მაგრამ, კარგი ლექსიც ხომ დამმარხველია ავტორის,—როგორც ყარაჩოხელის წელზე შემორტყმული ოქროს ქამარი.

მტკიცდება, რომ ლექსს ოქროს ფასი აქვს.

„ყოველგვარ საქმის შესრულებაში კაცი ხელფასს მხოლოდ ერთხელ ღებულობს. დაუბეჭდავ ლექსში კი ცხრა ადგილას ამიღია ჰონორარი“ (კარლო კალაძე. მოგონებანი. ტომი II).

დაურთეთ ზემოთქმულს პ. იაშვილისა და კ. კაკაბაძის შეხედულებანი და დარწმუნდებით, რომ პოეტობა ამ მხრივათაც არის ხელსაყრელი, მის მიერ მონიჭებულ უკვდავებას რომ თავი დავანებოთ.

პირველი მცნება: რაკი პოეტობა გადაწყვიტეთ, უპირველეს ყოვლისა ფსევდონიმი უნდა გამოსძებნოთ, რადგან უფსევდონიმოდ წერა იგივეა, რაც უშარვლოდ სიარული.

დედა უფრო გიყვართ, თუ მამა?—თუ დედა,—შეგიძლიათ დაირქვათ: მაშაშვილი, ლისაშვილი, კესაშვილი, და სხვ. უკეთუ მამა—გრიშაშვილი.

ან ყვავილები აირჩიოთ იასამანისა და ია ეკალაძის მსგავსად. ანდა: იყო რომელიმე მდინარისპირელი.

მეორე მცნება: უნდა დაიჩემო რომელიმე კლასიკოსის მაგიერობა. თუ მარჯვე ხარ და სხვებს დაასწრებ, შეგიძლია შენში რამდენიმე კლასიკოსიც გააერთიანო:

ბარათაშვილის და ჭავჭავაძის
მე ვარ მოდგმა და პირდაპირი
შთამომავალი.

ს. ჩიქოვანი

უნდა მიემსგავსო რომელიმე რუს მწერალს, ეს არის საჭირო კრიტიკოსებისათვის, რათა მიეცეთ საშუალება, რომ საქართველოს მაიაკოვსკად, ესენინად ან ბლოკად გამოგაცხადონ.

მესამე მცნება: საჭიროა იყო წერაკითხვის მცოდნე, რომ სიტყვები დასწერო და ამოიკითხო. ყოველი სიტყვის აზრი კი შეგიძლია არ იცოდე,—მაგალითად:

„სწევს თამბაქოს და **ბოლთას**
აბოლებს“

მეორე გამოცემაში ავტორს ეს სტრიქონი ასე შეუსწორებია: „სწევს თამბაქოს და ბოლსაც აბოლებს“. ამის ანალოგიური სტრიქონი იქნება: „ქუჩაში მიდის და ფეხსაც მიაბიჯებს“.

„მე ვის მოვხსნიდი ჩადრების **ჰუნეს**“
(ჰუნე: კეთილად წვრთნილი
ცხენი. საბას ლექსიკონი).

რესპუბლიკაში **შრომის ნადავლმა**
ომამდე ნამყოფს გაუსწორო დონეს.
ამიტომ უნდა თვალის **გადავლა**
ჩვენს ნაამაგარს დღეს თავმომწონედ.
და სხვ...

აღნიშნული სტრიქონები ს. ჩიქოვანს ეკუთვნის.

ბოდიშს ვიხდი დანარჩენ პოეტებთან, ადგილის უქონლობის გამო მათ მაგალითებიც რომ ვერ მომყავს. უნდა ითქვას, რომ ამგვარი სტრიქონები იქა-აქ მათაც გააჩნიათ.

შეგიძლია აგრეთვე ლექსში სიტყვები ისე ჩაალაგო, რომ არა გამოდიოდეს რა:

დაადგა ფეხი ქედს კავკასიის
ტანშებურვილმა შუბით რუსულით...

ფრ. ნაროუშვილი

საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ თუ შუბა ეცვა, რათ სჭირდებოდა ტანი შეებურა რუსულით?—იქნებ **შუბა** კი არა **შუბი** ეპყრა ხელთ. ვაღიარებ, რომ ამის გამორკვევა ჯერჯერობით ჩვენს ძალღონეს აღემატება. მეორე მაგალითი კი უფრო უბრალოა:

„სადგურის ვაწერ ხელს ადგილ-
კომი...

მისივე

მეოთხე მცნება: ლექსის ყოველი კარგი ტაეპი, ხალხში აფორიზმად უნდა რჩებოდეს. რუსთველის მსგავსად:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი.

რუსთველი

და წყალდიდობა ხდება ავდარში.

კარლო კალაძე

კაცი სახლიდან როცა გამოვა,
წინ ცხვირი მიაქვს, უკან ზურგია.

ს ჩიქოვანი

მაღალ აღმართზე ასვლა თქვი, თორემ
ძირს თავისუფლად ჩამოგორდები.

ალიო მაშაშვილი

და მრავალი სხვა (იხ. ჩემ მიერ შეკრებილი აფორიზმები).

მეხუთე მცნება: სხვისი ლექსის ყოველი კარგი სტრიქონი შენს ლექსში ისე უნდა გადმოწერო, რომ ხალხს სჯეროდეს ეს სტრიქონი შენი იყო და მან მოგპარა... ამისთვის შეიძლება ბევრი მოგხვდეს მაგრამ აიტანე. დრო გავა, ტკივილი გაივლის, ხალხს ეს ამბავი დავიწყდება და შენ შეგიძლია მეორედ გამოცემულ წიგნში ლექსებს წლების რიცხვი გადაუსწორო, ანუ ადრე დაწერილად წარუდგინო შთამომავლობას.

მეექვსე მცნება: თუ ყველა ეს ღონისძიება შეასრულო და ლექსი მაინც ვერ გამოგივიდეს,—ნუ დაღონდები. იგი სიტყვა-სიტყვით გადათარგმნე — პასტერნაკი და ტიხონოვი რუსულად გალექსვენ და შენ პოეტის სახელს მაინც დაიმსახურებ.

მეშვიდე მცნება: დაიხსომე, რომ პოეტის ბედი კრიტიკოსებთან დამოკიდებულებით სწყდება. მათ შენი გულის სიმართლე არაოდეს არ უნდა გაუმხილო.

უთუოდ მათი გზა-კვალის ასაბნევად თქვა გალაქტიონმა:

ჩაფიქრებული მივდიოდით ალაზნის
ველად.
და აი თვალწინ გადიშალა ლურჯი
იორი...

ბათომში ჩასული ს. ჩიქოვანი შეხვდა ჩადრიან გოგონას და

„მივედი, ვკითხე გზა აჭარისკენ“-ო.

დაიხსომე, რომ ეს იგივეა—ტფილისში ჩამოსული ამხანაგი საქართველოსკენ გზას გეკითხებოდეს.

ტ. ტაბიძე სწერს:

ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს
გადააფარებს ყაზბეგს შვინდებათ...

რაღა თქმა უნდა, აბდა-უბდაა, მაგრამ აქ ყველაფერი რითმის გულისთვის არის ჩადენილი, რადგან მეოთხე სტრიქონში მას რითმავს: „შეუშინდება“...და ამის შესახებ კი შემდეგ წერილში მექნება საუბარი.

ვიმეორებ, რომ მწერლის ბედი კრიტიკოსზე ჰკიდია. კრიტიკოსმა საბოლოოდ თუ აღმოგაჩინა, — მორჩა, აღარავისთვის აღარ იქნები საინტერესო. ტიციან ტაბიძეს ერთხანს რევოლუციის თანამგზავრად სთვლიდენ. პოეტი მაშინვე გამოერკვა და რეაქციული ლექსების წერა დაიწყო, მაგრამ როცა კრიტიკოსებმა ესეც გაუგეს, ერთ ლექსში თქვა:

„ძველო ქვეყანავ, გიკოცნი ფესვებს
ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი“.

კრიტიკოსებმა აღარ იცოდენ, რომელ ფენისთვის მიეკუთვნებიათ იგი, შეიქნა კამათი, კამათი დღესაც გრძელდება და ახარებს ტიციანის გულს.

იცოდე, რომ რა აზრისაც შენ ხარ შენს თავზე, იმ აზრს გამოთქვამენ კრიტიკოსებიც.

ამიტომ: თვითეულ ლექსს სჭირდება შენი მუდმივი დევნა და ორატორობა. მართლა ქათმისთვის კი არ მიმიმართავს მე, კუჩხა ბედნიერს:

კვერცხი რომ დასდო, მოჰყევი კაკანს,
თორემ კრიტიკა ვერ დაგაფასებს
მეთქი.

რიტმისა და რითმის შესახებ შემდეგ წერილში.

19/X

ლიტ. გაზეთი

პასუხი ვუკ. ბერიძეს

კონსტანტინე ჭიჭინაძე

ვუკ. ბერიძე „ლიტ. გაზეთში“ № 19 გამოეხმაურა ჩემ წერილს „რუსთაველის იუბილესათვის“(ლიტ. გაზ.“ № 17.).

იგი ეხება მხოლოდ ერთ გასწორებას, რომელიც მე მოვახდინე „ვეფხის ტყაოსანში“ (74 ტაეპი). ვ. ბერიძე მედავება ამ გასწორების გამო და მიკიჟინებს „სულ არცოდნას“. ვნახოთ, ვინ იჩენს სრულ არცოდნას ამ შემთხვევაში, მე, თუ ის. აი ეს გასწორება: წინანდელ გამოცემებში ეს ადგილი ასე იბეჭდებოდა—ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მიდით და მოიჯარენით“. გაჰყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.

მე დამახინჯებულად მივიჩნიე უკანასკნელი სტრიქონი, ვინაიდან პირველი პირი სიტყვისა „გავიხარენით“ გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის არა ავტორს, არამედ როსტევანს (ან მის ქვეშევრდომებს). ამიტომ, ჩემის აზრით, სტრიქონი უნდა შევიდეს ბრჭყალებში და ნაცვლად „გაჰყარეს“ (მესამე პირი) დაიწეროს „გაჰყარეთ“ (მეორე პირი), აი ამგვარად:

ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდით და მოიჯარენით, გაჰყარეთ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“. ვ. ბერიძე განცვიფრებული სწერს ამის გამო: „შეწყვიტეთ სმა და ნადიმი, იქ (მუნ) ამოდ გავიხარეთ. სად, იქ? მბრძანებელისათვის, ბრძანების მომენტში, ნადიმის ადგილას, ეს იქ იქნება, თუ აქ? ცხადია აქ!“

აქ ცხადია მხოლოდ შემდეგი: ვ. ბერიძეს ვერ გაუგია პოემის ეს ადგილი და ჰგონია, რომ სიტყვები „მუნ ამოდ გავიხარენით“ ჰგულისხმობს **ნადიმით** გამოწვეულ სიხარულს, ნამდვილად კი იგულისხმება **ნადირობასთან** დაკავშირებული სიხარული; ამიტომ უნდა იყოს არა აქ, არამედ იქ (მუნ), ისე, როგორც არის.

ვ. ბერიძე იმდენად მოუხიბლავს ეს აზრს, ვითომც აქ ლაპარაკი იყოს ნადიმის სიხარულზე, რომ სიტყვები ჩემი გასწორებიდან „თითქოს... თვით ავტორი იღებდეს მონაწილეობას **ნადირობაში**“ (გვ.284), ასე ამოუკითხავს—„თითქოს... თვით ავტორი იღებდეს მონაწილეობას **ნადიმობაში**“.

ახლა შევჩერდეთ გრამატიკაზე. ვ. ბერიძე სწერს, რომ „გავიხარენით“, გავიხარეთ (ნამყო) ვერ გამოხატავს სიხარულს, რომელსაც ადგილი ექნება მომავალში. აბა ვნახოთ, თუ ვერ გამოხატავს: ერთგან (941 ტ.) ტარიელი ეუბნება ავთანდილს:

„ამას მოკვდავი, ვილოცავ აროდეს ვითხოვ, არ, ენით: აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით, მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ, კვლა რამე გავიხარენით“. აქ სიტყვები „შევიყარენით“ „ვნახნეთ“ და „გავიხარენით“ აღნიშნავენ მოქმედებას მომავალში. ცოცხალი ტარიელი საიქიოს მოელის მიჯნურთან შეხვედრით გახარებას. ასევე ნადიმზე მყოფი როსტევანი და მისი ქვეშევრდომები ახალ სიხარულს მოელიან მომავალი ნადირობისაგან.

„გაჰყარეთ“ კი არა, „გაყარეთ“-ო მასწავლის ვ. ბერიძე. სრულიადაც არა, „ჰ“ აუცილებელია აქ—„გაჰყარეთ სმა და ნადიმი“, მაგრამ იგი ზედმეტი იქნება, მაგალითად, შემდეგ კონტექსტში „გაყარეთ თავზე მტვერი“. „გაჰყარეთ“ ნიშნავს გათიშვას, შეწყვეტას, „გაყარეთ“ კი ყრას, ფრქვევას.

ამგვარი შემოკამათების შემდეგ მე კიდევ უფრო თამამად შემიძლია გავიმეორო ჩემი სიტყვები, რომლის გამოც ვ. ბერიძეს თავისი წერილი დაუწერია: დიახ, „ვეფხის ტყაოსანის“ ტექსტი არსებითად (ე. ი. წვრილმანების გამოკლებით) უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს და შემდეგი დიდმნიშვნელოვანი სიტყვა რუსთაველის უკვდავი პოემის შესახებ უნდა მიეცეს მხატვრულ კრიტიკას.

რაც შეეხება ვ. ბერიძის მიერ გაზ. „კომუნისტში“ დაბეჭდილ რეცენზიას, მე უფლებას ვიტოვებ თვით გაზ. „კომუნისტი“-ს ფურცლებზე გავსცე მას პასუხი იქ გამოთქმული მოსაზრებების გარეშემო.

რედაქციის შენიშვნა: **აძლევს რა კონსტ. ჭიჭინაძეს ვუკოლ ბერიძის წერილზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას, რედაქცია სავსებით ეთანხმება ვ. ბერიძის აზრს, რომ ტექსტის დასადგენად საჭიროა კვლავ გაგრძელდეს მეცნიერული კვლევა-ძიება.**

კონსტ. ჭიჭინაძის თვითკმაყოფილება კი, რედაქციის აზრით, საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.



დილის თორმეტი საათი იძნებოდა, როცა ჩვენი გაზეთის რედაქციაში გ. ბუხნიკაშვილი შემოვიდა. გუგული ჩვეულებრივ გუნებაზე აღარ იყო, ჯიხს ხელში მხიარულად არ ატრიალებდა და საოცრად დაღლილს თვალები ულონოდ მისწურვოდა.

— რა დაგმართნია გუგული!?—შევეკითხეთ ერთხმად.

— სამოც და ხუთი პიესის ავტორი ვარ და ჩემ სიცოცხლეში ეს არ მომსვლია,—თქვა მან,—დილის 8 საათიდან პიესას ვწერ, 12 უკვე შესრულდა და მე სამიოდე მოქმედების დაწერა ძლივს მოვასწარი... ეჰ, მოვხუცდი ალბათ და ხელში ღონე გამომელია!..

გულ-აჩუყებულად დაასრულა სიტყვა გუგულიმ.

მახინჯი ენა მახინჯი აზრის წარმომშობია. აქედან: ენის სისწორე ყველას მოეთხოვება და პირველ რიგში მეცნიერმუშაკთ, განსაკუთრებით, როცა ისინი მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს სწერენ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად „მრავალ გამდელისა“ სწორედ მეცნიერულ-პოპულარული წიგნები ჩვენში არაჩვეულებრივ უყურადღებოდ გამოდის.

აბა, სადაური ქართულია ამგვარი თქმა:

„ჩემი ეს თხზულება მიზნად არ ისახავს ეტნოგრაფიულ რაჭის მთლიან შესწავლას, რომელიც იყოფა ქვემო, ზემო და მთის რაჭად?“

(იხ. ს. მაკალათია—მთის რაჭა, გვ. 2).

საგულისხმოა, ვიცოდეთ, რა იყოფა ქვემო, ზემო და მთის რაჭად? შესწავლა?!

ამის დამწერს რომ არაფერი დაესახა მიზნად, გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ახლა... „როგორც რაჭა, ისე საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც განსწავლულ მხარეთმცოდნის მოლოდინშია, რომელიც ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ უძღვნის მათ ღირსეულ გამოკვლევებს (იქვე 2)“. ვინაა ეს „რომელიც“? მოლოდინი თუ მხარეთმცოდნე? ყოველ შემთხვევაში, ამგვარად „განსწავლული მხარეთმცოდნე“ რომ ენას რიგიანად ისწავლიდეს, მისთვისაც კარგი იქნებოდა და არც ჩვენ დაგვტანჯავდა ჩიქორთული ქართულით!

ან კიდევ:

„ვის არ სმენია საქართველოს სამხედრო გზის მშვენება, რომელიც გველივით მიიკლაკნება არაგვ-თერგის ვიწრო ხევებში და კავკასიონის ბუმბერაზების გადალახვით ჩრდილოეთის ველებისაკენ ეშვება“ (მთიულეთი. ს. მაკალათია. გვ. 3. სახელგამი 1930).

როგორ ახერხებს ეს „მშვენება“ გველივით კლაკნას, ძნელი გამოსაცნობია.

ერთიც:

„ფშავი ცნობილია ჩვენში ვაჟაფშაველას სახელით, სადაც მთის ეს პოეტი დაიბადა და მოღვაწეობდა“ (იხ. ფშავი, გვ. 3. 1934 წ., გეოგრ. საზ. გამოცემა).

ვფიქრობ, „ელხის“ სპეციალური კომისია იქნება საჭირო, რომ ამ „ჭეშმარიტად კლასიკურ წყობის წინადადების“ მიხედვით გამოირკვეს, მართლაც და სად დაიბადა მთის ეს პოეტი: „სახელში“, „ვაჟა-ფშაველაში“, „ჩვენში“ თუ „ფშავში“?

დანარჩენი შემდეგ.

ჩვენს რედაქციას აცნობეს, რომ ერთი ენათმეცნიერი ადგენს ახალ რუსულ-ქართულ ლექსიკონს, რომელსაც საფუძვლად უდევს პაოლო იაშვილის მიერ ნათარგმნი ალ. პუშკინის ლექსებიდან ამოკრებილი სიტყვები. ეს ლექსიკონი საოცრად განირჩევა ყველა დღემდე არსებულ ლექსიკონებისგან და ამიტომ ვისწრაფვით მივაწოდოთ მკითხველს რამდენიმე მაგალითი:

Орел — ქორი.
Вал — შხეფი.
Призрак — ჩერო.
Рев — მრევი.
Мгла — გლოვა.
Струит — სტვირი.
Дети — ცეტი.
К лаве — გკლავენ.

შეიძლებოდა მეტი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ვგონებთ ამ ამონაწერიდანაც ცხადია, თუ რა დიდ გარდატეხასთან გვაქვს საქმე. მარტო ის რად ღირს, რომ ფეოდალური სიტყვა „არწივი“, რომელიც მოგვაგონებდა თვითმპყრობელობის ღერბს, დღეიდან სამუდამოდ უქმდება და მის ადგილს იჭერს, შედარებით დემოკრატიული „ქორი“.

პატივცემულ ენათმეცნიერს პ. იაშვილს თარგმანებიდან ამოკრებილ სიტყვებს გარდა, ამავე მეთოდის საფუძველზე თავის ლექსიკონში შეუტანია სიტყვები:

Мудрец — მუდრეგი.
Арбуз — ბუზი.
Кубок — კუბო.

განსაკუთრებით მოსწონთ ეს ლექსიკონი რუსებს, რომლებმაც ქართული ენა არ იციან; ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ რუსული სიტყვები არც ერთ ენასა არაა გადათარგმნილი ფონეტიკის ასეთი ზუსტი დაცვითო.

ერთი შეხედვით უბრალო ამბავია, თითქო ღირსიც არაა ყურადღებისა, მაგრამ იდენად ჩვეულებრივ და ,,მონაბეზრებელ" მოვლენად გადაიქცა ის, რომ უნებურად იქცევ ,,ყურადღებას.

საშემეცნო ,,ქართულით" იწერება ,,აფიშები!

წარსულში წლების განმავლობაში ასე ბეჭდავდა ჩვენი ოპერა:

— „დღეს: ოპერა ფაუსტი და **„ვალპურგიევის ღამე“**.

ამგვარად, კლასიკურ ფარსალის ველზე გაშლილი მოქმედება აფიშის მთარგმნელის ხელში ჩეხოვის მოთხრობის პერსონაჟის კომიკურ გვარად იქცა.

ოპერამ შარშან შეასწორა შეცდომა და, ასე ვთქვათ, გააპატიოსნა გოეთე.

ახლა ამ დიდი პოეტის მეგობარს დიდ შილერს ამახინჯებს ქართულად თბილისის რუსული თეატრის ადმინისტრაცია. მის მიერ რუსულიდან თარგმნილი აფიშა გვამცნობს:

— „ახალი დადგმა: **„შეთქმულება ფიესკოს“**..

შილერი ფრიად პატიოსანი კაცი იყო, ნათლად აზროვნებდა და ნაწერში ბუნდოვანება არ შეჰქონდა. მისი ტრაგედიის მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ ფიესკო იყო სულიერი არსება, ადამიანი და შეთქმულების მეთაური. ამიტომაც ავტორმა ნაწარმოებს უწოდა „ფიესკოს შეთქმულება“.

ეს პატივცემული აფიშა პირველი მერცხალია იმ ბრწყინვალე ქართულით დაწერილ კურიოზულ აფიშებისა, რის მსგავს სეზონის განმავლობაში კიდევ იხილავს ქუჩაში გამვლელი მრავალათასი მოქალაქე.

და ხშირადაც იხილავს, თუ მთავარლიტმა ყურადღება არ მიაქცია.

სალიტერატურო ფონდი

სალიტერატურო ფონდის გამგეობაში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნოს მიერ არჩეულია ამხ. სანდრო ეული (თავმჯდომარე), ნ. მიწიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე და ლიტფონდის დირექტორი), პ. მ. საყვარელიძე, მიხ. ჯავახიშვილი, ს. აბაშელი, დ. შენგელაია და ირ. აბაშიძე. ლიტფონდის გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას.

რედაქტორი:
პლატონ ძიძოძე

რედაქციის მდივანი:
ნიკოლოზ ჩაჩავა

გამომცემელი „ლიტ. გაზეთის“ გამომცემლობა
რედ. ტელეფონი 3-45-10.

750 წელი შოთა რუსთაველის დაბადებიდან

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილების რეალიზაციის მიზნით, საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს:

I

1) გამოცხადდეს კონკურსი „ვეფხის ტყაოსნის“ საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებზე.

2) პიესა უნდა იყოს ორიგინალური, აგებული რუსთაველის პოემის სიუჟეტზე, მომქმედი პირების დაცვით.

3) პიესების განსახილველად და ჯილდოთა მისასჯელად დაარსდეს ჟიური ემდეგი შემადგენლობით: 1. მალ. ტოროშელიძე (თავმჯდომარე), 2. ნ. კიკნაძე, 3. სახალხო არტისტი ს. ახმეტელი, 4. სახალხო არტისტი შ. დადიანი, 5. სახალხო არტისტი უ. ჩხეიძე, 6. ს. შანშიაშვილი, 7. ტ. ტაბიძე, 8. პ. ქიქოძე, 9. პ. სამსონიძე, 10. შ. რადიანი (პ. მგ. მდივანი), 11. ვ. ბოკუჩავა.

4) საუკეთესო პიესებისათვის დაწესდეს სამი ჯილდო:

1-ლი ჯილდო—25.000 მან.
მე-2 „ —15.000 „
მე-3 „ —10.000 „

5) პიესების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა არის 1936 წლის 1 იანვარი.

II

1) გამოცხადდეს კონკურსი რუსთაველის სახელთან და მის ნაწარმოებთან დაკავშირებულ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებზე.

2) მუსიკალური ნაწარმოები შეიძლება წარმოდგენილ იქნას ოპერის, სიმფონიის, სიუიტის, კვარტეტის (ვოკალური, სიმებიანი) ან კონცერტის (ფორტეპიანო, ვიოლინო, ვიოლონჩელი) სახით.

3) მუსიკალურ ნაწარმოებთა განსახილველად და ჯილდოების მისასჯელად დაარსდეს ჟიური შემდეგი შემადგენლობით: 1. ორაგველიძე (თავმჯდომარე), 2. შ. გეგენავა, 3. სახალხო არტისტი მ. იპოლიტოვ—ივანოვი, 4. სახალხო არტისტი დ. არაყიშვილი, 5. რეჟისორი ლ. ბარათოვი, 6. სახალხო არტ. ა. წუწუნავა, 7. დამსახურებული არტისტი ს. ინაშვილი. 8. ბ. ფინგერტი. 9. გ. კილაძე 10. ა. ხოფერია (პასუხისმგებელი მდივანი), 11. ნ. მიწიშვილი.

4) დაწესდეს ოპერისათვის შემდეგი ჯილდოები:

1-ლი ჯილდო—40.000 მან.
მე-2 „ —27.000 „

სხვა სახის მუსიკალურ ნაწარმოებისათვის:

1-ლი ჯილდო—15.000
მე-2 „ —10.000
მე-3 „ — 5.000

5) მუსიკალურ ნაწარმოებთა წარმოდგენის უკანასკნელი ვადა არის 1937 წლის 1 მარტი.

III

1) გამოცხადდეს კონკურსი „ვეფხის ტყაოსნი“-ს მხატვრულ გაფორმებასა და ილუსტრაციაზე.

2) ილუსტრაციის განსახილველად დაარსდეს ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

1. შარია (თავმჯდომარე), 2. ე. გორდელაძე, 3. პ. საყვარელიძე, 4. ა. დუდუჩავა, 5. პროფ. მ. თოიძე, 6. პროფ. ლ. გუდიაშვილი, 7. დ. შევარდნაძე, 8. პროფ. ჩუბინაშვილი. 9. დოც. ამირანაშვილი. 10. მერაბიშვილი, 11. ბუხნიკაშვილი (მდივანი).

3. ილუსტრაციასა და მხატვრულ გაფორმებაზე დაწესდეს შემდეგი ჯილდოები:

1-ლი ჯილდო—15.000 მან.
მე-2 „ —10.000 „
მე-3 „ — 5.000 „

4. ილუსტრაციათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1935 წ. 1 მაისი.

IV

საუკეთესო მაღალ მხატვრული პოეტური ნაწარმოებისათვის რუსთაველის სახელობის ჯილდოს მისასჯელად დაარსდეს მუდმივი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ე. ბედია (თავმჯდომარე), გრ. მუშიშვილი, ლ. აღნიაშვილი, ბ. ბუაჩიძე, ა. ჭყონია (პ. მგ. მდივანი), ს. აბაშელი, პროფ. შ. ნუცუბიძე, დოც. ვ. კოტეტიშვილი, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, გ. ლეონიძე.

1) ყველა საკონკურსო ნაწარმოები უნდა წარმოდგენილ იქნეს ორ ეკზემპლიარად, დევიზებით. ავტორების გვარი უნდა წარდგენილი იქნეს დახურულ კონვერტებში, იმავე დევიზებით.

2) ყველა საკონკურსო მასალა იგზავნება შემდეგი მისამართით: ტფილისი, საქართველოს განსახკომი, რუსთაველის სახელობის კონკურსი.

მთავლიტის რწმუნებული № 8353. ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3. დაკვ. № 1082.